ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 17 — 14 სექტემბერი 1908 წ. — ფასი 10 კ.

შინაარსი: სააკადემიო წლის დაწყების გამო.—გზა-და-გზა (კიდევ ჩვენი ქვეყნის ავტონომია).—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში.—რუსეთში.—ოსმალეთი. – სპარსეთი.—მაღალ წრეში, (პიესა) **განისა**.—ბრძოლა (ლექსი), **ბაბ.—ისა**.—წერილი მოსკოვიდან, **ივ—ძისა.** —პასუხი ამხ. „შურდულის“ მეპრესეს, **ოსისა**.—უმაღლეს სასწავლებლის მდგომარეობა.—**სვ. კანდ—ისა.**—დუშეთის მაზრა, **ოსისა** —პროვინცია: ხონი.—ქუთაისის ქრონიკა.—მაშ მართალია? **პარ—სისა**.—განცხადებანი.

რედაქცია ამით აცხადებს,—ვინც

„ჩ ვ ე ნ კ ვ ა ლ ს“

წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს

პრემიამ პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა

კრებულს

რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

საააკადემიო წლის დაწყების გამო.

— —

ყოველ სამოსწავლო საააკადემიო წლის დამდეგს მშობლებისა, მოსწავლეთა და მთელ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ხოლმე სწავლა-განათლების საქმეზე. წელს ამ საქმისადმი ყურადღება კიდევ უფრო გაცხოველებულია, თუ კი შეიძლება ცხოველ ყურადღებაზე ლაპარაკი ამ რეაქციის საერთო დაჩლუნგება-დაცემულობის დროს. თვითონ მთავრობას მაინც არა სძინავს და იგი თითქოს განგებ ცდილობს საზოგადოებრივი ყურადღებაც გამოაღვიძოს და გაალიზიანოს. რომელ სამინისტროს ეკუთვნის ამ საქმეში პირველობა, ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ სწავლა-განათლების სამინისტროს რომ უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს, ცხადია. ბ-ნი შვარცი, რომლის გამინისტრება თავის დროზე დიდის ამბით იდღესასწაულა „ჭეშმარიტ რუსობამ“, ბეჯითათ, სისტემატიურათ და დაუღალავათ მოქმედებს, რათა იმპერიის სასწავლებლებს მისცეს ისეთი მდგომარეობა, როგორიც „ჯერ არს“.

თუ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს მცირეოდენი ნაბიჯი იქმნა გადგმული, რათა სკოლა და ცხოვრება ერთმანეთისათვის დაეახლოვებინათ, დღეს მათ შორის კვლავ ითხრება უფსკრული. პედაგოგიურ საბჭოების უფლებანი სისტემატიურათ იზღუდება და ბათილდება. მშობლების წრეებს ეკრძალებათ სკოლის საქმეებში რაიმე მონაწილეობის მიღება. ყველანი და ყველაფერი, სკოლის ყოველივე ნაბიჯი უქვემდებარდება ცენტრს პეტერბურგში. და რადგან პეტერბურგიდან მთელი იმპერიის სკოლების ხელში დაჭერა შეუძლებელია, ამიტომ ფართოვდება პოლიციის უფლებანი. პოლიციას ევალება ფხიზელი თვალ-ყური ადევნოს მოსწავლე ახალ-გაზდობის მთელ ზნეობა-ყოფაქცევას სკოლის გარეთ. და რომ

პოლიციას გაუადვილდეს „თანამდებობის“ შესრულება მოსწავლენი ვალდებულნი ხდებიან ყველგან სასკოლო ფორმის ტანისამოსს ატარებდენ. სამინისტრო კიდევ უფრო მეტ მზრუნველობას იჩენს უმაღლეს სასწავლებლებისადმი. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის ავტონომიამ თითქმის უკვე „ჩაილულის წყალი ღალია“ და კვლავ უბრუნდებიან 84 წ. „უსტავს“. უმაღლეს სკოლების კარებიც ფართეთ იღება პოლიციისათვის. მოსწავლე ქალებისათვის კი იგივე კარები თითქმის სრულიად იხურება. არც მასწავლებელები და პროფესორები არიან მთავრობის „მზრუნველობის“ გარეშე დატოვებულნი. თანახმათ სენატის ცნობილ დადგენილებისა (სახელმწიფო სამსახურის და მთავრობისადმი ოპოზიციონერობის მოუთავსებლობისა) სახალხო განათლების სამინისტრო უკვე სამსახურიდან ითხოვს ყველა იმ მასწავლებლებსა და პროფესორებს, რომელნიც ეკუთვნიან ოპოზიციონურ პარტიებს. ზედმეტათ, იმ პროფესორებს, რომელთაც ერთხელ წილათ ხვდათ ვიბორგის საქმეში მონაწილეობის მიღება, სამინისტრომ წინადადება მისცა ხელწერილი დასდონ, რომ იგინი აღარ შეევლენ „ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციებში, რომელთა მიზნები და მისწრაფებანი მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ, რომელთა მისწრაფება არ ეთანხმება მთავრობის მოქმედების პროგრამას“. ამ ხელწერილის დადებაზე, რაიც თვით ოქტომბრისტების გაზ. „გოლ. მოს.“ აზრითაც მოწმობა იქნებოდა პროფესორების პოლიტიკურ უწლოვანობისა, ამ ხელწერილზე უარს აცხადებენ: პეტერბურგის უნ—ის პროფ. პეტრაჟიცკი და მოსკოვის უნ—ის პროფესორები ჭურომცევი, კოტლიარევსკი, კოკოშკინი, ნოვოგიორდიცევი და შერშენევიჩი. ასე რომ საუკეთესო პროფესორებს უნივერსიტეტებიდან აძევებენ.

ყველა ზემოთ ნათქვამს ისიც დასძინეთ, რომ წელსაც, როგორც ყველა საკადემიო წლის დამდეგს, სწავლას მოწყურებული ახალ-გაზდობა ასობით და ათასობით უკან დაუბრუნეს ადგილების, ვაკანსიების უქონლობის გამო. და ეს მაშინ, როცა მთავრობა მილიონობით ხარჯავს სამხედრო მიზნისათვის, ჯავშნიანი გემების ასაშენებლათ, თუნდაც ამისათვის მას სახელ. დუმის ნებასურვილის წინააღმდეგ უხდებოდეს წასვლა.

თუ ასეთია სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა საკუთრივ რუსეთში, ცხადია, როგორი-ღა იქნება იგი „განაპირა ქვეყნებში“, სადაც სკოლას გარდა პირდაპირ მიზნისა—კეთილსაიმედო ჩინოვნიკების, მოხელეების აღზრდისა—დაკისრებული აქვს აგრეთვე გარუსების, ნაციონალურ გადაგვარების მისსია! აქ ხომ მთავრობა პირდაპირ ეუბნება ხალხს: თუ არა გნებავთ გარუსება გაბძანდით სკოლიდანაო, და აკი კიდევაც „მიბრძანდებიან“. ასეა მაგ. პოლონეთში. გეხსომებათ, რომ ამ სამოდე წლის წინათ, როცა ბობოკრობა განმათავისუფლებელი მოძრაობა, პოლონელმა ბავშვებმა ნამდვილი „ჯვაროსანთა ომი“ გამოუცხადეს რუსულ სკოლას. გაფიცვები და ბოიკოტი სწრაფათ მისდევდენ ერთმანეს. ამის პასუხათ მთავრობამაც „ლოკაუტი“ დაარტყა“ და ბოლოს ვარშავის უნივერსიტეტიც დახურა. წელს ეს უკანასკნელი კვლავ გახსნა, მაგრამ, რასაკვირველია, ისევ წმინდა რუსულ გემოზე. ამიტომაც წელს ვარშავის უნივერსიტეტში—თუმცა იქ მიაწყდა რუსეთის სხვა და სხვა კუთხის სემინარიელები—მაინც სამჯერ ნაკლები სტუდენტია წინანდელთან შედარებით. თუ წინანათ 15,000-დე იყო, წელს 500-დე ჩამოიდა სტუდენტთა რიცხვი, და რაც უფრო საყურადღებოა, ამათში პოლონელები შეადგენენ მხოლოთ 10%-ს. პოლონეთის ახალგაზდობა ისევ საზღვარგარეთ არჩევს გამგზავრებას, ვინემ თავის დედა ქალაქში, მაგრამ რუსულ უნივერსიტეტში ყოფნას...

ჩვენ ხომ თვალითაც არ გვანახვებენ არაევითარ უნივერსიტეტს. მთელ კავკასიას, ათ მილიონ ხალხს, ერთი უმაღლეს სკოლისათვისაც კი დღევანდლამდე უღირსათ სცნობენ... და ხომ არც საშუალო და დაბალი სკოლები გვაქვს მოჟარბებული. აი თუნდ შემთხვევით აღებული გაზეთის №-ში რას ვკითხულობთ: „ფოთის ამბები. აქაურ სასწავლებლებში მოწაფეების უზომო დევნაა; ვაკანსიები ცოტაა, მთხოვნელები კი ბევრი. მაგ. ქალთა გიმნაზიის მეორე კლასში ოთხის მისაღები ვაკანსიაა და მთხოვნელი კი 75 აღემატება, ასევე არის ვაჟთა გიმნაზიაში და დაბალ სასწავლებლებში“ („ეკალი“ № 7). ყველა ამას დასძინეთ ისიც, რომ ჩვენ თითქმის არც ერთი სასწავლებელი არ მოგვეპოება ისეთი, რომელსაც ნამდვილი ნაციონალური სკოლა ეთქმოდეს, რომ თვით დაბალი ტიპის სკოლებიდან სასტიკათ იდევნება სამშობლო ენა, რომ ხშირათ ჩვენ სკოლას, რომელმაც გაბედა სამშობლო ენაზე სწავლება, კარებზე კლიტეს ადებენ და ზედ აწერავენ „იძლევა ქირით!“ ანუ მოწაფეებს გარეთ ერეკებიან და შიგ შეყავთ სალდათები, სკოლას კაზარმათ ხდიან...

განსვეტრეტთ ამ შავ-ბნელ, სავალალო მდგომარეობას და უნებურათ გვინდა სამართლიანი გზა-ცვალი ეუკურთხოთ ხოლერას, ამ სიღატაკისა და უმეცრების ავათმყოფობას, რომელიც ასეთი ხშირი სტუმარი გაგვიხდა და თითქოს აღარც ფიქრობს როდისმე მიატოვოს რუსეთის სახელმწიფოს კარ-მიდამო. წელს იგი თვით იმპერიის სატახტო ქალაქში, ბრწყინვალე პეტერბურგში ატრიალებს თავის „მადლიან“ ცელს... შაი სიკეთილი! აი რის წინაშე დაგვაყენა ძველმა რეჟიმმა. ამ რეჟიმის მოსპობა, - აი ეს და მხოლოთ ეს იქნება სათავე სიცოცხლისა... ვერც სწავლა-განათლების საქმე და ვერც სხვა რაიმე საკითხი ვერ გადაწყდება იმ დრომდე, სანამ არ გადაწყდება სახელმწიფოს ძირითადი საკითხი, სანამ არ დაკმაყოფილდება ქვეყნის სადღეისო კარდინალური მოთხოვნილება—რუსეთის იმპერიაში უნდა განხორციელდეს დემოკრატიული კონსტიტუცია, „განაპირა ქვეყნებს“ უნდა მიენიჭოს ავტონომია!

სხვა გზა არ არსებობს შველა-ხსნისათვის!

გზა-და-გზა.

VI

კიდევ ჩვენი ქვეყნის ავტონომიაზე.

ა. ჩხენკელი თუმცა პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მისი ფელეტონებიდან აშკარაა, რომ უკეთუ წინ წამოდგებოდა კავკასიის ანუ ამიერ-კავკასიის ავტონომია, მაშინ უეჭველათ იძულებული ვიქნებოდით მოგვეთხოვა ამ ქვეყნის კანტონალური მოწყობილობა, ე. ი. განსაზღვრული საკანონმდებლო დეცენტრალიზაცია, და რადგან უკანასკნელი თურმე ვერ ეგუება კაპიტალიზმის გარდაუვალ მიმდინარეობას ცენტრალიზმისაკენ, აი ამიტომაც ა. ჩხენკელი, რასაკვირველია, უარჰყოფს ამ ქვეყნის ავტონომიის საკითხვას, და მას თან ატანს საოლქო თვითმართველობასაც. მისი აზრით საოლქო თვითმართველობის განხორციელება შესაძლებელი გახდება მხოლოთ იმ დროისთვის, როცა რუს. მთავრობის „ძლიერი ხელი“, რომელიც, მოგეხსენებათ, არ არის ჩვეული ხავერდის ხელთათმანს—და რომ კონსტიტუციონურ მთავრობასაც არ უყვარს დიდი ცერემონია ეროვნულ საკითხებში, ეს თვითონ ჩხენკელმაც შეგვატყობინა—როცა—ვამბობთ—რუსის მთავრობის ცხოველ-მყოფელ თათები ერთმანეთში გათქვეფავდა, გაერთიანებდა კავკასიის ერებს, ერთი მხრივ, და რუსეთსა და ყველა ამ ერებს მეორე მხრივ.

მაგრამ, როგორც უკვე დავინახეთ ერთ წინა წერილში, კაპიტალიზმის აბსოლიუტური მიდრეკილება ცენტრალიზმისაკენ არ არის სწორე და ეს ჩვენი განცხადება იმდენად მართალია, რომ თვითონ ჩხენკელი დაბოლოს იძულებულია მხარი დაუჭიროს სახელმწიფოებრივ, საკანონმდებლო დეცენტრალიზაციას, რამდენადაც საქმე ეხება ნაციონალ-კულტურულ საკითხებს. იგი სწერს: „უმწვერვალესათ საჭიროა, რომ ქართველ ერს ჰქონდეს საკუთარი ორგანო, რომელიც დაფუძნებული იქნება **სახელმწიფურ პრინციპზე**, (კურსივი ჩვენია) უამისოთ ყოველი ნორმალური ზრდა—განვითარება ჩვენი მრეწველობისა და სწავლა განათლებისა ქვეშაზე აგებული კოშკი იქნება.“ („შურდული“, № 3) სწორეთ ასე, სწორეთ ასე, ამხანაგო!

ა. ჩხენკელი საერთოთ საკმაო მზრუნველობით ეკიდება ქართველ ერს. იგი ამას კავკასიის სხვა ერებზე მაღლა აყენებს კულტურულათ და საპოლიტიკოთაც. თუ კავკასიის სხვა ერები ჯერ არ მომწიფებულან საოლქო თვითმართველობისათვის, სამაგიეროთ საქართველო ამისათვის უკვე კი ხანია მზათ არის. „მაშ—კითხულობს ჩხენკელი—რაღა დაგვშლის „სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავი შევანარჩუნოთ“. ბევრი რამეც რომ გვშლიდეს ამას, ჩვენ მაინც უნდა შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და აი ჩხენკელიც მოიხოვს, რომ „სანამ ამიერ-კავკასიის საოლქო ერთეული გეეღირსებოდეს, საქართველო ერთეული თვითმმართველ მხარეთ იქნას აღიარებული“ („ხომლი“, № 21) საქართველოს უნდა მიეცეს ადგილობრივი, ადმინისტრატიული თვითმართველობა და ამასთანავე „ქართველ ერს უნდა ექნეს საკუთარი . პარლამენტი“ (ჩხენკელი. „შურდ“. 3). მაგრამ მისი აზრით ამ პარლამენტის კომპეტენცია არ უნდა სცილდებოდეს „სწავლა-განათლება კულტის დარგს“ (იქვე). ამ რიგათ, ა. ჩხენკელი შუა გზაზე ჩერდება. და ეს მიუხედავათ იმისა, რომ თვითონ აღიარებს ქართველობის განსაკუთრებულათ ხელსაყრელ მდგომარეობას,—რომ ქართველ ერს მოებოგება საკუთარი ტერიტორია, რომ საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ქართველობა არის და ასევე ანუ უფრო მეტი პროცენტი იქნება მომავალშიაც, რომ „საქართველოს სხვა ერებიც, რამდენათაც ისინი უსხოვარ დროიდან დამკვიდრებულან ჩვენს მხარეში: სომხები, ურიები, ოსები, თათრები, ბერძნები და სხვები შესისხლხორცებული არიან ქართველებთან და ლაპარაკობენ უკანასკნელთა ენაზე. თვალსაჩინოა აგრეთვე ახლათ ჩამოსახლებულთა რაოდენობა, მაგრამ გადაჭარბება აქაც უადგილოა. აუარებელი ჯარი და მოხელეთა დიდი უმრავლესობა არ არიან მისათვლელი მკვიდრებზე“. („ხომლი“. № 23) ამასთანავე, ქართველობა იმდენად დაწინაურებული ერია,—აღიარებს ჩხენკელი—რომ იგი ვეღარ ეტევა ძველ ბიუროკრატიულ ხოჭიეში და იგი წინ უსწრებს ყველა კავკასიელ ერებს. მიუხედავათ ყველა ამისა, საქართველოს საკანონმდებლო თვითმართველობის სფერაში ჩხენკელი—როგორცა ვთქვით—მაინც ვერა სცილდება სწავლა-განათლება კულტის (ღვთის მსახურების) დარგს და სრულ უფლებანობისაკენ ამოძრავებულ ქართველ ერს იგი წინ ეღობება—არა, ტყვილათ ეპოტინებიო... უნებურათ გვაგონდება ქართველი ხალხის თქმულება: „ავი არ მაკადრიანო, კარგი არ მაღირსიანო!“

მართალია ა. ჩხენკელი ერთ ადგილას გადაჭრით ამბობს, რომ „ქართველ ერს“ უნდა მიენიჭოს „არამც თუ განმანათლებელი, არამედ ყველა კულტურული*) ფუნქციები, რაიც გულისხმობს აგრეთვე სოციალ-ეკონომიურ დარგებს.“ და იგი ამ განცხადებას იქვე, ცოტა ქვემოთ, ხაზსაც უსვამს: **ქართველები თითონ უნდა განაგებდენ ყოველ კულტურულ—და აქედან სოციალ-ეკონომიურ და ეროვნულ—საქმეებს**“ („ხომლი“ № 21). მაგრამ ეს სრულიად ფუჭი და ამაო ფრაზაა, რადგან მისი ავტორი თავის ფელეტონების დასასრულ შავი ასოებით სწერს: **„სწავლა განათლება-კულტის**) დარგში ქართული პარლამენტი ქ. თფილისი-**

*) აქ ეს ტერმინი, როგორც ხედავთ, ნახმარია ფართე მნიშვნელობით, ე. ი. ნაგულისხმევია საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერები.

**) უნდა შევნიშნოთ, რომ კულტი, ე. ი. ღვთის მსახურება აქ ზედ-მეტათ არის ჩაჩხირული, თუნდ საქმე მარტო ნაციონალ-კულტურულ ავტონომიაზე შეჩერდეს, ჩვენ უნდა მოვითხოვდეთ, რომ ამ კულტურულ ავტონომიის განმახორციელებელ პარლამენტს უეჭველათ ჩამოერთვას კულტის ყველა საქმეები და ეს გადაეცეს საქართველოს ავტოკეფალიურ კალესიას.

ში“, არც მეტი, არც ნაკლები! ცხადია „ქართველ ერს“ სხვა არაფერი არ უნდა გააჩნდეს გარდა „განმანათლებელ ფუნქციებისა“. ჩხენკელის აზრით ქართველ ერს არ უნდა ჰქონდეს არავითარი საკანონმდებო უფლება არავითარ სოციალ-ეკონომიურ დარგებში, და თვით ადმინისტრატიული მართვა-გამგეობის ორგანიზაციის შემუშავება და დაწესება სავსებით უნდა ეკუთვნოდეს რუსეთის ცენტრს, სახელ. დუმას. ასე რომ ამ ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები უნდა სწყდებოდეს საქართველოს ხალხის დაუკითხავად! (აქ მოსატანი არ არის ის გარემოება, რომ სახ. დუმაში ჩვენ ხალხს ორი კაცი წარმომადგენელი ჰყავს და თუნდ ორის ნაცვლათ იქ თხუთმეტი ყოფილიყო, იგივე ითქმებოდა) უნდა შეენიშნოთ, რომ ჩხენკელთან შედარებით თითქმის უფრო მეტი ლიბერალობა და „რადიკალობა“ გამოიჩინა კავკასიის ნამესტნიკმა, როცა მან ამ სამიოდ წლის წინათ მოიწვია ადგილობრივ ხალხის წარმომადგენელთა კრებები იმაზე სათათბიროთ, თუ როგორი თვითმართველობის შემოღება სურდა ამ ხალხს.

მერე რატომ ჩერდება ჩხენკელი შუა გზაზე, რა მოსაზრებით, რა საბუთებით უარჰყოფს იგი საქართველოს სრულ საკანონმდებლო თვითმართველობას? (ისეთ მოსაზრებებზე, როგორც არის კაპიტალიზმის განვითარების ინტერესები, სადამოენო „ბალოები“ და სხ. აქ აღარ შეეჩერდებით, რადგან ამაზე უკვე შეენიშნეთ წინა წერილებში). მაცავარი საბუთი ის არის, რომ ქართველობა უკვე... საკმათ ამაღლებულია კულტურულათო! მკითხველი, რასაკვირველია, არ დაიჯერებს, რომ ეს მართლა ჩხენკელის ნათქვამი იყოს და ამიტომ მოვიყვანოთ მისი საკუთარი სიტყვები: „კავკასიის ბევრი სხვა ხალხები—სწერს იგი—ჩამორჩენილი არიან ქართველებზე კულტურულათ, კიდეც ამიტომ მათ განსაკუთრებული უფლებები აქვთ მინიჭებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში. ქართველებმა გაიარეს ეს დაბალი (sic) საფეხური,—მათ არ ეპირვებათ ასეთი განსაკუთრებული უფლებრივი მდგომარეობა“. („ხომლი“, № 19) დაგვეთანხმებით, რომ ეს ძალიანა ჰგავს რუს ბიუროკრატ—ჩინოვნიკურ მსჯელობას. განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ რუსი ჩინოვნიკისთვის იმპერიის ამა თუ იმ ხალხის „განსაკუთრებული უფლებრივი მდგომარეობა“ ნიშნავს ამ ხალხის უფლებისა და კანონს გარეშე დაყენებას, ჩხენკელი კი, რა თქმა უნდა, იმის მომხრე ვერ იქნება, რომ კულტურულათ ჩამორჩენილი ხალხი კნუტსა, მათრახს თუ ხიშტებს დაუმორჩილო და იქ, კანონისა და უფლების ნაცვლათ ძალმომრეობა და თვითნებობა გაამეფო; მაშასადამე მისთვის „განსაკუთრებული უფლებრივი მდგომარეობის“ საპიროება უნდა ნიშნავდეს ამ ხალხისთვის ავტონომიის აუცილებელ საპიროების აღიარებას. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩხენკელი კავკასიის არც ერთ სხვა ხალხებს არ ანებებს ავტონომიას. იმიტომ ხომ არა, რომ იგინი კულტურულათ ქართველებზე ჩამორჩენილნი არიან? ხოლო ქართველებს კი უარს ეუბნება ავტონომიაზე, რადგან ესენი უკვე ამაღლებულნი არიან კულტურულათ! როგორაც ხედავთ, ეს რაღაც ბიუროკრატიული „კაპრიზი“ (ტინიანობა) გამოდის. ჩხენკელი უარჰყოფს საქართველოსათვის საკუთარ კანონმდებლობის საპიროებას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სფერაში, რადგან, თუნდ ასეთი არსებულიყო კიდეც, იგი მაინც რუსების კოდექსიდან გადიწერდა კანონებს. და ეს იმ მოსაზრებით, ვითომ საქართველოში დღეს იგივე სოციალ-ეკონომიური ვითარება იყოს გამეფებული, როგორც შიდა რუსეთში. მერე ამას რითი ამტკიცებს? აი მოისმინეთ რითი: „როგორც შიდა რუსეთში, ისე საქართველოში, გაბატონებულია ბურჟუაზიული სოციალ-ეკონომიური ვითარება, რომლის დამახასიათებელი არის: კერძო საკუთრება, საქონლის წარმოება—ცვლა ან ფულის მეურნეობა, იჯარა და დღიური ხელფასი“ (იქვე)—ახორციელია თქვენმა მზემ! მერე კერძო საკუთრება, ფულის მეურნეობა და სხ. სადღა არ არის დღეს გამეფებული! მაშ მოვითხოვთ, რომ ყველგან გამეფდეს **ერთი და იგივე** კოდექსი კანონებისა!? და ან კი ჩვენი მოთხოვნა რათ უნდა იყოს საპირო? რატომ ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და სხვა. არ გააუქმებენ თავისს საკუთარ პარლამენტებს, ან ამათ ზოგიერთ ფუნქციებს, რაღათ ხარჯავენ ზედმეტ ფულს და რატომ პირდაპირ რუსეთის კანონებს არ ითარგმნიან, ევროპიელნი ხომ ჭკვიანი და მასთან ხელმომჭირნე ხალხია?..

სახელმწიფო საქმეში ასეთი ზერელე მსჯელობა, თქმა არ უნდა, ყოვლად შეუწყნარებელია. თავის თავათ ცხადია, რომ სხვა და სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ერების სოციალ ეკონომიური ვითარება არ არის და არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე. კიდევ და კიდევ, **მზგავსება** არ არის **იგივეობა**. მაგრამ, ფანტაზიის დახმარებით, წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოსა და შიდა რუსეთში დღეს ერთი და იგივე სოციალ-ეკონომიური ვითარებაა, მერე ვინ და რა იქნება თავდები იმისა, რომ ეს იგივეობა ხვალვე არ დაირღვევა და რუსეთს არ გაასწრობს საქართველო და ან საქართველოს—რუსეთი? (ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ რუსეთს ძალიან მალე და თვალსაჩინოთ წინ გაუსწრებდა საქართველო კერძოთ და კავკასია საერთოთ, უკეთუ ამ ქვეყანას მიენიჭებოდა ავტონომია) და რომ სხვა და სხვა სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში არ შეიძლება, მავნებელია არსებობდეს ერთი და იგივე კანონები, ამას აღიარებს თვითონ ჩხენკელი. იგი ამ მოსაზრებით მაგ. ჩვენებურ მთიულების განსაკუთრებულ ვითარების შესახებ სწერს: „ამისათვის ადგილობრივ თვითმართველობას დაეევალება დასაბუთებული შესწორებანი ან დამატებანი წარადგინოს იქ (რუს. ცენტრალურ პარლამენტში) და ისინი ცალკე სხოლიოებში მოთავსდებიან“ („ხომლი“. 19), ცხადია იგი ამასვე იტყვის მთელ საქართველოს შესახებაც, თუ კი მას დავუმტკიცებთ, რომ საქართველოც განსხვავდება

რუსეთისაგან სოციალ-ეკონომიური ვითარებით, უფლებრივი წარმოდგენით და სხ. — და რომ მართლა განსხვავდება, ამას ხედავს ყველა, ვისაც კი თვალნი აქვს ხედვათ. მაშ ვღებულობთ ასეთ სურათს: საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობა შესწორება-დამატებას გზავნის პეტერბურგს, სახელმწიფო დუმაში, სადაც იგინი უმალვე თავსდებიან იმპერიის კანონთა კრებულის სხოლიოებში. მაგრამ კანონს დაბეჭდავ სხოლიოში თუ თვით ტექსტში, პეტიტით თუ ვენით ან კორპუსით, კანონი მაინც კანონი იქნება. გამოდის, რომ საქართველოს არსებითათ საკუთარი საკანონმდებლო უფლება ჰქონია, მხოლოთ იგი პეტერბურგში გზავნის დეპუტატებს ამ უფლების სხოლიოში აღსაბეჭდვინებლათ. საკვირველია მხოლოთ — რა საჭიროება მოითხოვს ათი ათასი ვერსის მანძილზე წასვლას ისეთ უბრალო ტეხნიკურ საქმის შესასრულებლათ, როგორიც არის კანონის დაბეჭდვა, თუნდაც პეტიტით, როცა თვით თფილისშიც იშოვება სტამბაც და ყოველნაირი შრიფტიც. და თუნდაც არ იშოვებოდეს, პეტერბურგიდან შრიფტის დაბარება უფრო ადვილი იქნებოდა, ვინემ დეპუტატების იქ გზავნა. ამ შემთხვევაში პეტერბურგს ტანტალი ხომ ნამდვილი „ბოდბელობა“ *) გამოვიდოდა!

დასასრულ, ა. ჩხენკელს მოყავს ერთი საკმაოთ სერიოზული არგუმენტი თავის შეხედულების დ საცავათ. იგი აცხადებს, რომ საქართველოს ავტონომია მოგვიტანდა „ქართველ ქვეშევრდომს“ და „ქართველი ბურჟუაზია **პოლიტიკურათ გაბატონებული ერი** იქნებოდა“, რომ ავტონომიაში მოთავსებულია „იურიდიული შესაძლებლობა ან „აბრუნდი“ განკერძოებულ კანონების გამოსაცემათ ამა თუ იმ ერის სავნებლათ“ („ხომლი“ №№ 23 და 19). ეს მართლაც ასე იქნებოდა, უკეთუ ჩვენ განვახორციელებდით ნაციონალისტების და ფედერალისტების ავტონომიას. „მაგრამ — ვიტყვით ჩხენკელისავე სიტყვებით — ჩვენ მუდამ ფედერალისტების ავტონომიას ვგულისხმობთ, თითქო მათი განმარტება მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იყოს. ნამდვილათ კი“... ნამდვილათ ნაციონალისტ-ფედერალისტების ავტონომია არ არის ერთათ ერთი ცას ქვეშეთ შესაძლებელი ავტონომია. უკანასკნელი შეიძლება იყოს სხვა და სხვა გვარ ორგანიზაციისა.

სოციალდემოკრატია, რასაკვირველია, მოითხოვს იმ გვარ ორგანიზაციას, რომელიც, ადგილობრივ პირობების მიხედვით, უკეთ ემსახურება იმის პარტიულ მიზნებს, მუშათა კლასიურ ინტერესებს. აქვე კი უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ჩვენ წინ გვექნებოდა არჩევანი: აწ არსებული ცენტრალიზაცია იმპერიაში, ან ქართველ ნაციონალისტებისებური ავტონომიაო, ჩვენ უეჭველათ უკანასკნელს ავირჩევდით, რადგან აქ ნაციონალური ჩაგვრა საზოგადოთ განახევრებული მაინც იქნებოდა. იმპერიაში გაბატონებული ნაცია, რუსები, რომელნიც გარდაუვალათ იქნებიან დანარჩენ ნაციათა მჩაგვრელები იმ დრომდე, სანამ იმპერიაში იარსებებს ცენტრალიზაცია, რუსები, ვამბობთ, შეადგენენ რაღაც $40\,{}_0/{}^0$ იმპერიის მცხოვრებთა საერთო რაოდენობისას. საქართველოში ქართველების რიცხვი კი აღემატება $70\,{}_0/{}^0$-ს. ასე რომ თუ პირველში ყოველ ას ადამიანზე ნაციონალურათ იჩაგრება 60 ადამიანი, მეორეგან (საქართველოში) ეს ციფრი არ გასცილდებოდა 30-ს. მაგრამ სოციალდემოკრატია ვერც ასეთ შემცირებულ მჩაგვრელობას შეურიგდება, ეს თავისთავად ცხადია. სოც. დემოკრატია უნდა ესწრაფოდეს ისეთ ორგანიზაციის, სადაც არც ერთი ნაციის არც ერთი ადამიანი არ იქნებოდა **უფლებრივათ** დაჩაგრული. აი ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს ჩვენი ნაციონალური პროგრამა: ავტონომიური კავკასია, კანტონალური მოწყობილობით და ნაციონალ-კულტურული ავტონომიით იმ კრებისათვის, რომელთაც აქ არ მოეპოებათ საკუთარი, ერთიანი ტერიტორია. რადგან ასეთი ტერიტორი მოეპოვებათ ქართველობას, ცხადია ამათთვის საჭირო არ იქნება „ნაც.-კულტურული ავტონომია“ ან, თუ გნებავთ, საჭირო არ იქნება განსაკუთრებული ორგანო ამ ავტონომიის განსახორციელებლათ. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი ერი ნაციონალ-კულტურულსაქმეებისთვისაც სწორეთ იმავე დეპუტატებს წამოაყენებდა, რომელნიც არჩეული იქნებოდენ საქართველოს კანტონალურ ადგილობრივ პარლამენტში. ხოლო ერთი და იმავე წარმომადგენელთა ორჯერ არჩევა, რა თქმა უნდა, ზედმეტი არის. ასე რომ საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია უნდა გავრცელდეს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერებზე: ყველა სოციალ-ეკონომიურ-კულტურულ საქმეებზე. მაგრამ ამ პორლამენტის დადგენილებანი (კანონები) სულიერ კულტურის საკითხების შესახებ, რა თქმა უნდა, არ გავრცელდება იმ არა-ქართველებზე, რომელნიც შევლენ თავ-თავის ნაციონალურ ორგანიზაციებში (ნაც. — კულტ. ავტონომიებში.)

აქ ადგილი არ ექნება ნაციონალურ ჩაგვრას არც პოლიტიკურ და არც მოქალაქობრივ სფერაში, აქ ყოველივე „აბრუნდი“, ყოველივე შესაძლებლობა რაიმე განსაკუთრებულ კანონების გამოსაცემათ რომელიმე ერის სავნებლათ სათავეშივე გაქარწყლებული იქნება, რადგან როგორც „საქართველოს ქვეშევრდომნი“, ისე სხვა კანტონების „ქვეშევრდომნი“ იმავე დროს იქნებიან კავკასიის მოქალაქენი. აქ მცხოვრებ ყველა ნაციათა პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თანასწორობის ერთგული და მტკიცე დარაჯი იქნება ამ თანასწორობაში **დაინტერესებული** კავკასიის საოლქო სეიმი და კავკასიის უმაღლესი სასამართლო.

კიდევ ერთი შენიშვნა. ა. ჩხენკელი თავის ფელე-

*) „ბოდბელი“ ქიზიყში ნიშნავს იმასვე, რასაც „მოხისელი“ — ქართლში, ე. ი. დიდ „სიბრძნეს“. ასე, რადგან „ბოდბელს“ სხვენზე ებულებოდა დანა, მან დასაკლავი ხარი სხვენზე აარჩხა, ვაცვლათ იმისა, რომ დანა სხვენიდან დაბლა ჩამოეტანა.

ტონების ბოლო სიტყვაობაში სწერს, რომ ქართველ სოციალდემოკრატიამ თავისი გადაწყვეტილება საკუთარ ეროვნულ საკითხის შესახებ უნდა წარუდგინოს სრულიად რუსეთის ს.-დ. სიეზდს და თუ „პარტიულმა სიეზდმა არ მოიწონა ჩვენი სპეციალური გეგმა, რა უნდა ვქნათ ჩვენ? **უნდა დავემორჩილოთ ამხანაგების გადაწყვეტილებას**“. ეს სრული შეცდომაა, და ეს ეწინააღმდეგება თვით ჩხენკელის შემდეგ განცხადებას: „ქართველ ერს უნდა ექნეს საკუთარი პარლამენტი, რომელიც სრულ უზენაესობის გამომხატველი იქნება სწავლა-განათლება-კულტის დარგში“. თუ კი ქართველ ერის საბოლოო ინტერესებისათვის მებრძოლი, მისი საუკეთესო მცველი—მფარველი სოციალდემოკრატია ეროვნულ საკითხებში შეზღუდულ-დამორჩილებული იქნებოდა რუსეთის პარტიისაგან, მაშინ ცხადია თვით ქართველ ერის უზენაესობა თვით კულტურულ საკითხებშიც ყინულზე დაწერილი თამასუქი ყოფილა! თავისთავათ ცხადია, რომ რუსეთის ამა თუ იმ ერის სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლიან საერთო პარტიას თავზე მოახვიოს თავისი ნაციონალური პროგრამა, მაგრამ მას ხელშეუხებელი უფლება უნდა ჰქონდეს, ეს პროგრამა დაიცვას, როგორც რუსეთის ცენტრალურ პარლამენტში, ისე მის გარეთაც. საერთო პარტიას კი უფლება ექნება წინააღუდგეს ამ პროგრამას და მის მომავლინებელ სოციალდემოკრატიას მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი რაშიმე უხვევს სოც.-დემ. პრინციპებს.

დასასრულ, უნდა ვაღიაროთ, რომ ა. ჩხენკელის ფელეტონები ჩვენზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იგი დაწერილი იყოს მეტათ სწრაფათ და ნაჩქარევათ. ავტორს თითქოს საკმაოთ არ დაუმუშავებია თავის შეხედულება ნაციონალურ საკითხზე. იქ მრავლათ არის გაბნეული ისეთი დებულებანი და მოსაზრებანი, რომელთა ლოღიკური განვითარება აუცილებელ დასკვნებათ იძლევა იმ შეხედულებას, იმ ნაციონალურ პროგრამას, რასაც ვადგივართ ჩვენ. აი ამიტომ სრული იმედი გვაქვს, რომ ამხ. ჩხენკელი მალე სავსებით შეუერთდება და თვისი ცოდნა-ენერგიით გაამაგრებს იმ ჯგუფს, რომლის ლიტერატურული გამომხატველია „ელიონი“ და „ჩვენი კვალი“.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩ ვ ე ნ შ ი

რადგან ამ წლის 8 ნოემბერს შესრულდება 50 წელიწადი, მას შემდეგ, რაც ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ამის გამო „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას რამდენიმე წევრმა განცხადება წარუდგინა, რომ მხცოვან მგოსანს აკაკი წერეთელს სათანადო პატივი სცენ და იუბილეი გადაუხადონ. წევრნი სთხოვენ გამგეობას იუბილეის მოსაწყობათ ეხლავე არჩეულ იქმნას კომიტეტი, რომელიც ამ საქმეს ითავებს.

— პირველ სათათბიროს წევრი ი. ბარათაშვილი, რომელიც ვიბორგის მოწოდების გამო სამი თვე ახალციხის საპატიმროში იჯდა, 7 ენკენისთვეს გაანთავისუფლეს.

— ტფილისში თანდათან ვრცელდება ხოლერა. თითქმის ყოველ დღე ემატება ავათმყოფები ხოლერიანთა ბარაკებს. ქუჩებში უსუფთაობაა, სანიტარული კომისია შესაფერს ყურადღებას არ აქცევს.

— კახეთიდან გვატყობინებენ: სოფ. ნაფარეულის მამასახლისის (ჩეჩენია) და მისი სტრაჟნიკის მოკვლის შემდეგ მეტათ ცუდ დღეში არიან ნაფარეულელები: უკანასკნელთ აბრალებენ მათ მოკვლას. ამ საქმის გამო დაჭერილია ნაფარეულის მცხოვრები ილიკო ჩიკვაიძე. 30 აგვისტოს ნაფარეულიდან მოდენილა ვარდისუბნის მცხოვრები ილიკო თუშიშვილი. ალაზანს ახლო მას დახვედრია სტრაჟნიკი (მოკლულ მამასახლისის ძმა) და ვითომდა სისხლის ასაღებათ, უტაკებია მუცელში ხანჯალი და მოუკლავს. იმავე დღეს სტრაჟნიკმა მოკლა კურდღელაურის მცხოვრები. სტრაჟნიკი დააპატიმრეს.

— სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია აცხადებს იმ მუშების საყურადღებოთ, რომელნიც შარშან სწავლობდენ სახ. უნივერსიტეტის სკოლაში, რომ ის აზრი, რომელიც მათ გამოუყვანიათ სექციის განცხადებიდან: თითქო ისინი დათხოვნილი იყვნენ სკოლიდან, შემცდარია. მათ შეუძლიათ წელსაც ჩაეწერონ ორთავე სკოლებში, როგორც ვერაზე, ოლგის ქუჩა № 52, აგრეთვე გოგოლის ქუჩაზე № 45. მორიგეობით დეჟურნობაა მოწყობილი საღამოს 6—8 საათამდე და როგორც ძველ მოსწავლეთ, აგრეთვე ახლებსაც შეუძლიათ ჩაწერა 15 სექტემბრამდე და შემდეგ. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახ. უნივ. გამგეობას ჯერ არ გადაუწყვეტია საბოლოოთ თუ რა ტიპისა უნდა იქნეს სკოლა და რა სისტემაზე იწარმოებს სწავლა. იგი კრებს ამის შესახებ მასალებს და ამ დღეებში შეამუშავევს პროგრამას, რომელიც გავრცელდება მუშებში. სექციის მონდობ. მუშა სინო.

რ უ ს ე თ შ ი.

— სიკვდილით დასაჯეს: სარაპულში—ხუთი სიმფეროპოლში—რვა, რიგაში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: მოსკოვში—ერთს, რიგაში—ორს, ეკატერინბურგში—სამს, ბაქოში—ორს, სარატოვში—შვიდს, ვარშავაში—ერთს, კიევში—ორს.

— ექვს სექტემბრამდე პეტერბურგში ხოლერით ავათ გამხდარა 1637, მომკვდარა 491, მორჩენილა 121, ავათაა 1061. („რეჩი“ №№ 210—213).

— კიევში უადგილობის გამო 50% ბავშვებისა არ მიიღეს სკოლებში.

— ირკუტსკის გუბ. ბურიატებმა მიმართეს თხოვნით სახელმწიფო დუმის წევრს ტ. ო. ბელოუსოვს იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს შეწყვეტილ იქმნას მუშაობა ირკუტსკის გუბ. მიწათ-მოქმედების უმთავრეს გამგეობისა, რადგან სულაც არ იღებენ მხედველობაში ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს და მათთვის საჭირო მიწებს ამზადებენ ცენტრალურ გუბერნიებიდან გლეხების გადმოსასახლებლათ.

— სახელმწიფო დუმის გამგე კომიტეტის ცნობებით დუმას 1909 წ. ხარჯებათ დასჭირდება 2.723,178 მანეთი.

ოსმალეთი.

ეროვნულმა საკითხმა უკვე წამოყო თავი და ის დღითი-დღე უფრო და უფრო ძლიერდება.

სომხობა თხოულობს ეროვნულ სკოლას და ფართე თვითმართველობას, ახალგაზადა ოსმალნი ჯერ არ ფიქრობენ დათმობას და სასტიკათ იცავენ ოტომანის იმპერიის მთლიანობას.

რიცხვითა და კულტურით უფრო ძლიერი ბერძნები მოითხოვენ სომხობაზე უფრო მეტს. აქნამდის მეჰმედის მიერ სტამბოლის დაპყრობის დღიდან ბერძნები სარგებლობდენ ფართე პრივილეგიებით, რომელიც თანდათან იზრდებოდა. იმათ მიიღეს საეკლესიო ავტონომია. მათმა პატრიაქატმა მოიპოვა იურიდიული უფლება სამოქალაქო საქმეებშიაც. აგრარულ, მემკვიდრულ და სხვა სამოქალაქო საქმეებს არჩევს პატრიაქატის ტრიბუნალი და არა საიმპერიო სასამართლო. ქრისტიანეთა სკოლის საქმეებში, როგორც ამას წინაზე ვწერდით, ოსმალეთის მთავრობა არ ერევოდა; ქრისტიანებს ძველი რეჟიმის დროსაც ქონდათ თავიანთი ეროვნული სკოლები, მაგრამ ბერძნები ამ მხრითაც სარგებლობდენ განსაკუთრებული პრივილეგიებით. მათ ააგეს ბერძნული გიმნაზია, სადაც მთელი სწავლა სწარმოებდა ბერძნულ ენაზე; მაღალ სწავლას კი ღებულობდენ ათინაში. ნამდვილათ ისინი სამშობლოთ სთვლიან საბერძეთს და სულითა და გულით უნდათ, კრეტი შეუერთდეს საბერძნეთს. აქედან ცხადია, რომ ბერძნები შედარებით სხვა ერებთან, ძველი რეჟიმის დროსაც ცხოვრობდენ კარგათ. კონსტიტუციას მათთვის არაფრის მიცემა არ შეეძლო თუ არ წაართმევდა. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ბერძნული პრესა კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ თითქმის ერთი კვირა ხმა გაკმენდილი იყო და არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საზოგადო აღტაცებასა და ენტუზიაზმში. მაგრამ ის იძულებული გახდა ხმა ამოეღო როდესაც სომხურმა გაზეთმა „მაუზაიმი ეფკიარ“-მა დაბეჭდა მკაცრი სტატია პატრიაქატისა და ბერძნების შესახებ.

ბერძნები აღელდენ; პატრიაქატში საჩქაროთ გაიმართა რამდენიმე კრება. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ერთ დღეს ყველა ბერძნულ გაზეთში დაიბეჭდა ბერძენთა ნაციის დეკლარაცია.

დეკლარაცია, აღიარებდა რა ოტომანის იმპერიის მთლიანობას, ადგენდა შემდეგ მოთხოვნილებას.

1) სრულათ დაცულ უნდა იქმნეს ყველა ის უფლებები და პრივილეგიები, რომელიც ბოძებულია და აღიარებული სულთანების მიერ დაწყებული სტამბოლის დაპყრობიდან, ვიდრე სულთან გატტი ჰუმაიუნისა, 1856 წ. და 1876 წ. კონსტიტუციამდე.

2) სკოლა, როგორც დაბალი, ისე საშუალო უნდა დარჩეს ეროვნული, ე. ი. ბერძნული, იმ დროსაც თუ მას ნივთიერ დახმარებას უწევს მთავრობა.

3) ეროვნებათა პროპორციონალური წარმომადგენლობა პარლამენტსა, სამინისტროსა და ადმინისტრაციაში.

4) იმ ადგილებში, სადაც ბერძნები შეადგენენ მცხოვრებთა უმეტესობას, ბერძნული ენა ითვლება ისეთივე ოფიციალურ ენათ, როგორც ოსმალური.

ოსმალური პრესა გულის წყრომით მიეგება ამ დეკლარაციას და შეებრძოლა.

ბერძნულმა პრესამ მტკიცეთ და გაბედულათ მიუგო ოსმალთა ყველა პროტესტზე. თუ ბერძენთა ეს პროგრამა უარყოფილი იქნა, მაშინ ბერძენთა ნაცია არ მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბოიკოტს გამოუცხადებს არჩევნებს და, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს თავის ეროვნულ ინტერესების დასაცავათო.

სპარსეთი.

— მკითხველებმა უკვე იციან დეპეშებიდან, რომ სათარხანმა დაამარცხა აინ-ედ-დოულეს ჯარი და გაიმარჯვა.

აი უცხოეთის გაზეთების ცნობები, თუ როგორ სწარმოებდა ეს ბრძოლა.

11 სექტემბერს აინ-ედ-დოულეს მოემატა ქურთთა 500-სი მხედარი ოთხი ზარბაზნით. ახალ-მოსულებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში რევოლიუციონერთა ჩრდილოეთის ბანაკზე. თვითონ აინ-ედ-დოულეს ერთ და იმავე დროს იერში მიქონდა მუშტეიდთა უბანზე. ქურთები დიდის გაბედულებით დაიძრენ ბრძოლის ველისაკენ. ჩქარა იმათ განდევნეს ქალაქ გარეთ სიმაგრეებიდან ნაციონალისტები. მთავრობის ჯარი ჯეფირს— ჯეფირზე იღებდა სანამ სათარხანის უმთავრეს სიმაგრემდე არ მივიდა. აქ კი მას შეხვდა მამაცი ფიდაები, ქურთები თავზარდაცემულები გაიქცენ და გაიფანტენ ვიწრო ქუჩებში. რევოლიუციონერები გამოუდგენ მათ და უმოწყალოთ სცემდენ, ვინც ჩაუვარდებოდათ იმაზგანი ხელში. ქურთთა გადარჩენილი ნაწილი გაიპარა სამშობლოში. აინ-ედ-დოულეს დანარჩენმა ჯარმა უკან დაიხია. საღამოს სათარხანი სრული გამარჯვებული იყო. მტრებს წაართო მთელი სურსათი და თოფ-ზარბაზნები, რევოლიუციონერებმა დაჰკარგეს 60 კაცი. მთავრობის ჯარის ზარალი ასობითაა, ღამე გამარჯვების ნიშნათ რევოლიუციონერები ისროდენ თოფებს უტყვიოთ თავიანთ სიმაგრეში.

— თეირანში მთავრობამ, რომ ლიბერალური წრეებისათვის თავრიზი დაეცა, მოიმიზეზა შეთქმულება და და საიდუმლო კომიტეტთა აღმოჩენა, ამისათვის ის იჭერს ახალგაზდობას, დაჭერილთა შორის ბევრი ისეთია, რომელთაც აქვთ ინგლისისა და ოსმალეთის დამცველი ბილეთები.

მაღალს წრეში.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 16)

მოქმედება მესამე.

მამაშა. რა ამბავია? აქ როგორ შეიძლება ასე ღრიალი?

ლოთი. (თავს უკრავს და ხელს უწვდის ბარბაცით) Честь имѣю представиться. ოტსტავნოი კოლლეჟსკი სეკრეტარი ივან ივანიჩი! კლუბის პირველი მოთამაშე, პირველი არშიყი და პირველი ლოთი. ორრასი ათასი რამდენია იცი? (ქალებს) იცით? მე ამ დღეებში მოვიგებ ორრასი ათასს, მაგრამ მოვიტან და დაგირიგებთ; მე ფული არ მიყვარს. რა არის ფული? ღვინო კი... (თავს ჩააქნევს) ეი, ღვინო, ღვინო!

მამაშა. უჰ, რა გაღრიალებთ? გთხოვთ, აქედან წაბრძანდეთ.

ლოთი. ღვინო, ღვინო მომიტანეთ, რომ ჩემი კანაშკების სადღეგრძელო დავლიო.

მამაშა. აქ ღვინის სმა არ შეიძლება. თქვენ ისეც საკმაოთა ხართ დალეული. ახლა სახლში წადით და მოისვენეთ.

ლოთი. (შეჩერებია; შემდეგ ხელებს გაშლის და მიიწევს იმისკენ) მამაშა! ძვირფასო მამაშა! თქვენ მაინც მაკოცეთ ერთი! (მამაშა გატრიალდება და გადის. ქალები იცინიან. ლოთი გამოტრიალდება, აქეთ იქით იხედება) ეეი, ღვინო, ღვინო! (შამოვა ორი მოსამსახურე ოთახში გასავალი კარიდან. ლოთი მათ თავს უკრავს). Честь имѣю представиться. Отставной коллежскій секретарь. Первый игрокъ клуба. (ქალები იცინიან).

ერთი მოსამსახურე. (გააწყვეტინებს) აქედან წაეთრიეთ ახლავე!

ლოთი. ორრასი ათასს მოვიგებ, წავაგებ—эрунда! მოდი, ერთი მაკოცე! (მოსამსახურეები ხელს მოჰკიდებენ, მიატრიალებენ, კარებისაკენ მიჰყავთ და კიბეზე საჩქაროთ ჩაჰყავთ. ისმის ლოთის ხმა გარედან: все эрунда! ღვინო და ქალები! მეტი არასფერი არ მინდა. ქალები იცინიან. მოსამსახურეები შემობრუნდებიან და მეორე კარებში გავლენ, რადგანაც ცოტა ხნის შემდეგ შემოვლენ შუახნის მოხელეები თავისი ქალებით).

ერთი მოხე. ახლა, ბატონებო, გამოვეთხოვოთ ჩვენს უკანონო ცოლებს, თორემ კანონიერი ცოლები ეჭვს აიღებენ და აქ მოგვეპრრებიან (მოხელეები იცინიან).

მოხელეები. (ერთათ) შვიდობით, ჩვენო უკანონო ცოლებო! (ხელს ართმევენ და ჰკოცნიან).

ერთი ქალი. (თავის კავალერს) როდისა მნახავთ?

ერთი მოხელე. მართლა, ბატონებო, დრო უნდა დავნიშნოთ, როდის მოვალთ აქ კიდევ.

მეორე. არა, ბატონებო! მე მხოლოთ თქვენის პატივისცემით წამოვედი დღესაც აქ, თორემ რაღა დროს ჩემი ცუღლუტობაა,—გასათხოვარი ქალიშვილები მყავს.

მესამე. სტეპან პავლოვიჩ! ჩვენის პატივისცემის გულისათვის წამობრძანდით შემდეგაც. (იცინიან და გადიან, ქალები თავს უკრავენ, შემდეგ დასეირობენ და იცინიან. რამოდენიმე ხნის შემდეგ თავს შემოჰყოფს ერთი გიმნაზიელი, მიიხედ-მოიხედავს და გაჰყოფს ისევ თავს. შემდეგ მეორე შემოჰყოფს თავს, მიიხედ-მოიხედავს და გაჰყოფს თავს. მალე ორივე შემოვლენ, მიიხედ-მოიხედავენ, შუა ოთახში გაჩერდებიან, ჩაახველებენ, პაპიროზს ამოიღებენ და სწევენ. პალტოები მოსხმული აქვთ ბეჭებზე. ქალები შეაჩერდებიან; ერთი წამოვა ამათკენ).

ქალი. (შეაჩერდება) არ მოგწონვართ? რას მომჩერებიხართ?

ერთი გიმნაზიელი. (მეორეს) არა უშავს რა, რას იტყვი?

მეორე. წაიყვანე, თუ მოგწონს,—ничего себѣ. მე სხვას ავირჩევ. (მიდის ქალებისაკენ. პირველი კი მიუახლოვდება ქალს, ელაპარაკება ისე, რომ არაფერი ისმის. შემდეგ ქალი კლავში ხელს გაუყრის და მიარბენინებს ოთახში გასავალ კარებისაკენ. გადიან. მეორეც მალე გაჰყვება მათ უკან თავისი ქალით. ქალები დასეირობენ. დამკვრელი პიანინოსთან სთვლემავს და თავს აკანჩურებს. გამოვლიან აფიცრები თავისი ქალებით.)

ერთი აფიცერი. (დამკვრელს) აბა, ერთი დაუკარით რამე. (ბეჭზე ხელს დაადებს; დამკვრელი გაიღვიძებს) დაუკარით რამე. (დამკვრელი უკრავს მაჩიჩს. აფიცრები ცეკვავენ ქალებთან. შემდეგ გაჩერდებიან, პაპიროზს მოუკიდებენ, დამკვრელს ფულს აძლევენ, ქალებს თავს უკრავენ და გადიან).

ერთი ქალი. აი მესმის აფიცრები! სამაგალითო ვახშამი იყო და ხუთ-ხუთი მანათიც მოგვცეს! (თითებზე იკოცნის) უჰმ? душки офицера!

მეორე. (პირველს) მეტიჩარა, ჯოჯო! ყოველისფერში წინ უნდა წაეჩხირო! შენ რომ წინ არ წამოგეყო შენი გაბუშტული ცხვირი, მაგ აფიცერს სულ მე მივყავდი და ახლაც მე წამიყვანდა.

პირველი. (დადინჯებით განზე გადგება) ერთი ამას დამიხედეთ! როგორ? ბრმა ხომ არ იყო, რომ შენ წაეყვანე და მე კი დავეტოვებინე?!

მეორე. ერთი კიდევ გიმეტიჩრნია აგრე და მაშინ ნახე, როგორ გაგწეწო.

პირველი. გაწეწვაზე ნუ იქნება, თორემ ბზესავით გაგანიავებ.

მეორე. აი შე, ჯოჯო, შენა! ჯოჯო, ჯოჯო!

პირველი. (მიიწევს) ხმა ჩაიკმინდე თორემ... (ამ დროს გამოვა მამაშა, ქალები დაწყნარდებიან).

მამაშა. რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის: ზალაში ჩხუბს თავი დაანებეთ მეთქი! (ქალები წყნარათ დადიან; მამაშა თვალს გააყოლებს მრისხანეთ და შემდეგ გავა. გამოვლენ გიმნაზიელები ქალებიანა. სწორეთ ამ დროს შემოვა შემოსავალი კარიდან შუა ხნის მასწავლებელი, ცოტა შეზარხოშებული. გიმნაზიელები შეკრთებიან და უკან გაბრუნებას აპირებენ).

მასწავლებელი. (აჩერებს) რაზედ შეკრთითო? იქნება გგონიათ, რომ მე თქვენ გაგიწყრებით, გაგიცხავთ ან დირექტორთან დაგაბეზღებთ? плевать мнѣ на директора! (ხელს ჩამოართმევს ორივეს. გიმნაზიელები მოწიწებით ართმევენ ხელს) თქვენ ახლა იმ ჰასაკში ხართ, როდესაც ბუნება თავისას ითხოვს; როდესაც სქესობრივ მოთხოვნილებას დაკმაყოფილება უნდა და ჩვენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სად უნდა დაიკმაყოფილოთ თავი, თუ არა აქ? მე პროსტიტუციის მომხრე არა ვარ, მაგრამ ჩვენს დროში ეს აუცილებელია, აუცილებელი. ეს საბრალო ქალები, რომ არ იყონ ამ სახლში, ჩვენს ახალგაზრდობას ერთი უმთავრესი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დაურჩებოდა, რაც გამოიწვევდა სხეულის დასნეულებას, დაუძლურებას და ხომ იცით: გენს სანა ინ კორპორე სანა—საღი გონება მხოლოთ საღ სხეულშია! (გიმნაზიელები ოფლს ხშირათ იწმენდენ შუბლზე, შემდეგ მასწავლებელი რომ გაჩუმდება, თავს უკრავენ და მიდიან. შეაჩერებს) გარდაეცით ყველა ამხანაგებს, რომ მე აქ ნურავინ ნუ მომერიდება. (მოსწავლეები თავს უკრავენ და ჩქარის ნაბიჯით გადიან. მასწავლებელი გაივლ-გამოივლის, შემდეგ ერთ ქალს კლავში ხელს გაუყრის, ემუსაიფებადა გადიან ოთახში გასავალ კარებით. შემოსავალ კარებიდან შემოვლენ არჩილი, ლევანი, მიხაკო, გრიშა და კოტე.)

მიხაკო (ქალებს). აა! ჩემო ცოლებო, ჩემო ცოლებო! ხომ არ მოგეწყინათ უჩემოთ? (დამკვრელისაკენ) ეი, ვალსი, ვალსი! (დამკვრელი უკრავს ვალსს; მიხაკო ხან ერთ ქალს წაავლებს ხელს და აპროწიალებს, ხან მეორეს, ხან მესამეს. ქალები კისკისებენ. გამოვა მამაშა).

არჩილი. მამაშას ვახლავარ! (ხელს ართმევს. ისიც ყველას ხელს ართმევს, გარდა მიხაკოსი, რომელიც ქალებს აპროწიალებს).

მამაშა (არჩილს). რათ დაგვივიწყეთ, ბნიაზო? მე კი მეგონა, ალბათ ცოლი შეირთო და... (ამ დროს მიხაკო მამაშას წაავლებს ხელს და აპროწიალებს. მამაშა თან იცინის, თან წივის და შემდეგ თავს გაინთავისუფლებს) შე გიჟო, შენა! რითი ვეღარ დაჭკვიანდი აქამდე? (მუსიკა შეწყდება).

მიხაკო. სხვები ახლა გიჟდებიან და მე რათ უნდა დავჭკვიანდე? (ლევანი, გრიშა და კოტე ქალებში გაერევიან და დადიან) აბა, მამაშა, ამაღამისე უნდა ვიქეიფოთ, ისე, რომ სულ აქაურობა დავანგრიოთ.

მამაშა. აქაურობას ნუ დამინგრევთ და, თუ იქეიფებთ, მეც ძალიან გამეხარდება.

მიხაკო. შენ უნდა გაგატიტვლოთ, მამაშა, და შამპანიურში გაცურავოთ, მაა!

მამაშა (იცინის) შე გიჟო, შენა!

მიხაკო. არჩილი უნდა დავლოცოთ ცოლს ირთავს; დღეს გამოსაზოვარი საღამო აქვს. (გამოვა მასწავლებელი თავისი ქალით და მიდის. მიხაკო ამ ქალს მიუახლოვდება) აი იმ ქეციანს გაჰყევი? (გაჰყევება უკან).

არჩილი. ყმაწვილებო, სად გინდათ სუფრა?

ყველა (ერთათ). აი აქ—შუა ხალაში.

მამაშა. აქ არ შეიძლება,—ხალხი მოდის.

არჩილი. მე ვყიდულობ ყველა შენს ქალებს ამაღამ! დაჭკეტეთ კარი და აღარავინ შამოუშვათ. (მამაშა თავს უკრავს თანხმობის ნიშნათ).

ლევანი. ყმაწვილებო! იცოდეთ, მამაშაც ნაყიდია ამაღამ.

მიხაკო. მაშ მამაშა ჩემია; არავის არ დაგანებებთ. (მოხვევა მამაშას, რომელიც გარბის ოთახში გასავალ კარებში. მიხაკო მისდევს და შემდეგ უკან გამოტრიალდება).

არჩილი (ქალებს). თქვენ სულ ყველანი უნდა გატიტვლდეთ. (ქალები იცინიან და კისკისებენ).

მიხაკო. რას იცინით? სულ ყველას ჩემის ხელით უნდა გაგხადოთ ტანისამოსი. (მიდის ქალებისაკენ. ქალები ტანისამოსზე იკიდებენ ხელს და იცინიან. შემოვა მამაშა და არჩილს ელაპარაკება. შემოდიან მოსამსახურეები, შემოაქვთ მაგიდა და დგამენ შუა ოთახში.

ლევანი. სანამ ესენი ვახშამს დაგვიმზადებდენ, ჩვენ ვალსი ვითამაშოთ. ვალსი! (ისმის პიანინოს ხმები. თამაშობენ. მამაშა დაფაცურობს. მოსამსახურეებს შემოაქვთ საინები, დანა-ჩანგალი, საკმელები. არჩილი ორ ქალთან ერთათ დასეირნობს. შემდეგ დაჯდება სახით სცენისაკენ; ერთ მუხლზე ერთს დაიჯენს, მეორეზე მეორეს, მოხვევს ხელებს ორივეს და ემუსაიფება; ქალებიც კისკისებენ. ფარდა ნელა-ნელა ეშვება).

განი.

(შემდეგი იქნება),

ბ რ ძ ო ლ ა.

———

დეე, ტკოვრება ბირს მარიდებდეს,
დოდებს მესრდეს, ვით ეულს, ხიზანს...
ცა თვით ჯოჯოხეთს შეუკვმარდეს,—
ჩემს დამარცხებას უოვდიდეს მიწას;
დე დამხარხარონ თავზე სატანამ...
თვით ბოროტება ვერარს მიზამს;
არ შეეჩერდები, არ შეეწყვეტ ბრძოლას,
მაინც მივწვდები სასურველ მიზანს!

დეე, ჭეერმაც მომისხოს კვება;
ზღვამ აღშფოთებით ზვირთები ტეორტნოს,
მხარი მიაბას ჩემდამი დალტს
და ვით იუდამ თვით კაკამეტნოს...
ცავი მეინვარი მსხობდეს დახვარს,
შეშეკრებოდეს ზე-ჩამოსერეს;
კარეში მოებიც მას ემხრობოდენ,—
არ შეეჩერდები, არ ვიწეებ რეკვას!

და თუ ვერ მივწვდი სასურველ მიზანს,
უკუმხრთობამ კაშალა ფრთები;
ძალამ მომტეუნა, ბრძოლა წყვეტე;
მტერი დამამხობს—მე დავმარცხდები...

მაშინ, ოს, მაშინ დავსწეველი მიწას,
ზეცას ძირს დავცემ, თვით ცვმეხდეთ;
ცადგიხარხარეი უკანასკნელათ
და ნეტარებათ სიკვდილს შეეხვდეთ!..

ბაბ. —ი.

წერილი მოსკოვიდან.

ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეი; პროგრესისტ პროფესორების წინააღმდეგ გალაშქრება; სწავლა-განათ. სამინისტროს არ ასვენებს უნივერსიტეტების „ავტონომია“; უნივერსიტეტიდან დათხოვნილ თავისუფალ მსმენელ ქალების მდგომარეობა; როგორ მოიქცევა სტუდენტობა?

28 მარიამობისთვეს შეესრულდა დაბადებიდან 80 წელი რუსეთის დიდებულ მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის. როგორც მკითხველებმა იციან, მთელი ქვეყნიერობის განათლებული ერები დიდის ამბით შეუდგენ ამ დღისთვის მზადებას, რათა ღირსეული პატივი ეცათ მსოფლიო მწერალისათვის. მკითხველებს ისიც ეხსომებათ, რომ რეაქციონერმა ბანაკმა იმ თავიდანვე დიდი აურზაური ასტეხა ტოლსტოის პატივსაცემლათ განზრახულ იუბილეის გამო და მთელი თავისი ძალღონით გაილაშქრა მის წინააღმდეგ. „ტოლსტოი სახელმწიფოს მტერია, ტოლსტოი მოღალატეა და ასეთი კაცი პატივისცემის, იუბილეის ღირსი არ არის“-ო, გაისმოდა რეაქციონერთა და შავრაზმელთა ერთსულოვანი ყიჟინი. შავრაზმელთა ყიჟინს თავისი ხმა შეუერთა უწმინდესმა და უმართებელესმა სინოდმა და ქრისტეს მოყვარე სამღვდელოებამ: „ტოლსტოი სარწმუნოების შეურაცხმყოფი და მოღალატეა, ტოლსტოი ეკლესიიდან გარიცხულია“! ბანს აძლევდა იგი შავრაზმელების განგაშს და ყველა ეს რუსეთში, ტოლსტოის სამშობლოში ხდებოდა მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები ტოლსტოის სახელის ხსენებაზედაც კი პატივისცემით თავს იხრიდენ და დიდებულ მწერლის სახელით იხსენიებდენ. ინგლისის სამღვდელოებამ კი უკარგეს და უპეშმარიტეს ქრისტიანის სახელითაც კი მონათლა რუსეთის შავრაზმელების მიერ სარწმუნოების მოღალატეთ და ხალხის გამრყვნელათ აღიარებული მწერალი; ერთი სიტყვით, რუსეთის ძლევამოსილებმა არაფერი არ დაიშურეს ტოლსტოის დასამცირებლათ და მისი საპატივისმცემლო იუბილეის ჩასაშლელათ, და თუ იმათმა პროპაგანდა-აგიტაციამ საესებით ვერ მიაღწია მიზანს, თუ ტოლსტოის სახელი ვერ დაამცირეს საზოგადოების დიდი უმრავლესობის თვალში, იუბილეი რამდენადმე მაინც ჩაშალეს და ამით ნახევრათ მაინც დაიკმაყოფილეს სურვილი.

იუბილეის წინა დღეებში ყველა ადგილობრივმა სასწავლებლებმა (აქ საშუალო და დაბალ სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყო 15 მარ.) გაფრთხილება მიიღეს არ მიეღოთ მონაწილეობა იუბილეის გამართვაში. რესტორანების პატრონებსაც გამოეცხადათ, რომ რესტორანებში ტოლსტოის პატივსაცემლათ არაფერი კრება არ გამართულიყო; ერთი სიტყვით, ყველაფერი „წესრიგიანათ“ მოაწყეს და მოახერხეს. გათენდა 28 მარ., სასწავლებლებში მეცადინეობა ჩვეულებრივათ მიდის, არსად არავითარი კრება ტოლსტოის პატივსადმლათ. სამაგიეროთ ყველა პროგრესიულმა გაზეთებმა თითქმის მთელი ნომრები შესწირეს ტოლსტოის სახელს და, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო დღევანდელ პირობებში, აღნიშნეს ტოლსტოის 57 წლის მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა. ამის გარდა იასნაია პოლიანაში გაიგზავნა რამდენიმე მისალოცი დეპეშა,--და აი სულ ტოლსტოის იუბილეი მოსკოვში.

სამაგიეროთ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, საზღვარგარეთ უფრო კარგი პატივი უციათ რუსეთის დიდებულ მწერლისათვის. სხვათა შორის 27 მარ. მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისელების დეპუტაცია, რომელიც იასნაია პოლიანაში გაემგზავრა და პირადათ მიართვა იუბილეარს ინგლისელებიდან 45 გვერდიანი ადრესი.

რეაქციამ არც პროგრესიულ მიმართულების პროფესორები დატოვა უყურადღებოთ. ნათქვამია,—შიშს დიდი თვალები აქვსო და სწორეთ ასე მოსდის სწავლა-განათლების მინისტრს: მას კადეტი პროფესორები „антигосударственник“-ებათ მოლანდებია და წინადადებას აძლევს, დასდონ ხელ-წერილი, რომ ისინი არც ერთ ოპოზიციონურ და ანტისახელმწიფოებრივ პარტიაში აღარ მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი წინადადება მიიღეს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა პეტრაჟიცკიმ და მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორებმა: მურომცევმა, შერშენევიჩმა, ნოვგოროდცევმა, კოკოშკინმა და კატლიარევსკიმ; უკანასკნელებმა ასეთ ხელწერილის დადებაზე უარი განაცხადეს—უპასუხეს მხოლოდ, რომ ისინი არასოდეს არ ეკუთვნოდენ ანტისახელმწიფურ პარტიას. ასეთი პასუხის შემდეგ მათ დათხოვნა მოელის და ნეტავ ვის ჩაბარებენ იმათ კათედრებს!?.. შეიძლება პურიშკევიჩმა, ან დუბროვინ-კრუშევან-მეშჩერსკებმა იკისრონ იმათი მაგიერობა, —ამ ვაჟბატონებს ამისთვის ეყოფათ მხნეობაც და გაბედულებაც. ნეტავი ჩვენ—სტუდენტობას ასეთ პროფესორების ხელში!

სწავლა-განათლებულების სამინისტროს არც უნივერსიტეტის ავტონომიისგან დარჩენილი ნამცეცები აძლევს მოსვენებას და ღამობს მის სრულიად გაქრობას. მინისტრის უკანასკნელმა განკარგულებამ ერთი ხაზის მოსმით გააქარწყლა ის ნამცეცებიც, რომელიც მის წინაპრების ბრძყალებს გადაურჩა: აღკრძალა სტუდენტების საერთო „სხოდკები“ (ყრილობანი). ამათ გასამართავათ ეხლა საჭიროა მინისტრის ნებართვა; თუ მინისტრმა ინება და ნება დართო, „სხოდკას“ ესწრება პოლიციის წარმომადგენელი; აქნამდე კი საჭირო იყო ხოლოდ ოცდა ოთხი საათით წინ გაეგებინებიათ, რომ „სხოდკა“ იყო დანიშნული. მანვე გააუქმა „студенческое представительство“ (სტუდენტობის წარმომადგენლობა).

აუწერელ სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს უნივერსიტეტიდან დათხოვნილ თავისუფალ მსმენელ ქალების მდგომარეობა. აქნამდე კიდევ ქონდათ რაღაცის იმედი, მაგრამ ეხლა კი, როდესაც საბოლოოთ გამოუცხადეს, რომ დოკუმენტების გატანისა და წასვლის მეტი არა დარჩენიათ რა, არ იციან რა ქნან. თვალცრემლიანი ხან ერთ ფაკულტეტის კანცელიარიას მიადგებიან და ხან მეორეს, დოკუმენტების გატანას მაინც ვერ ბედავენ. საქალებო უმაღლესი კურსები კი სულ ავსებულია და ყველა მსურველების ერთი მეოთხედის დაკმაყოფილებაც კი არ შეუძლია.

ყველა ამის შემდეგ ყველა სტუდენტს ძალა-უნებურათ ებადება საკითხი: რა გზას დაადგება, რა ზომას მიიღებს ხანგრძლივ ბრძოლით მოპოვებულ უფლებების დასაცავათ და შესარჩენათ. ამ კითხვაზე ეხლავ გიდაჭრილი პასუხის მიცემა შეუძლებელია. როგორც კერძო ლაპარაკიდან სჩანს, სტუდენტობის უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ წელს უნივერსიტეტებში სიმშვიდე არ იქნება; სტუდენტობა ისევ გაფიცვებს მიმართავსო,—გამოთქვამენ ზოგიერთები. ვნახოთ,—ყოველივეს ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ივ—იძე.

პასუხი ამხ. „შურდული“-ს მეპრესეს.

„შურდულის“ მეპრესეს ჩემ მიერ „ჩვენი კვალი“-ს 15 ნომერში მოთავსებული წერილიდან ამოუღია მიზანში ის ადგილი, სადაცაა ნათქვამი: ერთი ასეთი წყაროთაგანი „ჩვენი კვალი“-ცაა და დახმარებას უნდა ვუწევდეთ მეთქი იმ ორგანოებს, რომლებიც ემსახურებიან კაცობრიობის მომავალს—და გაიძახის დაცინვის კილოთი: „ოსს მართლათ მიუღია „ჩვენი კვალი“-ს ხელმძღვანელის ტრაბახობა—სიტყვები, ჩვენი აზრი ახალია, დადგენილება კი ძველი. ნამდვილათ კი „ჩვ. კვალი“-ს ნაციონალური პროგრამა მომდინარეობს 1905 წ. „ივერიიდან“, დადგენილება კი 1906 წლის შემოდგომაზე იქმნა გამოტანილი სიეზდზე, სადაც, სხვათა, შორის კავკასიის ავტონომიაც იქმნა უარყოფილი. „ჩვ. კვალი“-ს აზრი ძველი „ივერიის“ აზრია. ახლა, სამი წლის შემდეგ, სხვა ორგანოში, სხვა სიტყვებით გამოფენილი და თუ ოსს აინტერესებს ეს კითხვები, წ. კ. საზოგადოებაში იკითხოს „ივერია“ და გაეცნოს მასალებს“. გმადლობთ ამხ. მეპრესე რჩევისათვის. მაგრამ, საკვირველია, რატომ დაგჭირდათ ყველა ამაების თქმა? თუ კი ის „ივერიაში“ იწერებოდა, უკვე საბალოოთ უარყოფილია და ახალი შეურყეველი დადგენილებაც მოგვეპოვება, რაღათ გინდათ „ივერიის“ ძველი აზრების კითხვით დრო დამაკარგვინოთ, ეს ხომ მიზანს უფრო დამაშორებდა? **რაღა საჭიროა რომ გადაწყვეტილ-უარყოფილ კითხვებზე ამოდენა წერილები იწერება ჩვენ გაზეთებში?** ამ რამდენიმე თვის წინათ ერთ-ერთმა საპატიო დაწესებულებამ, რათ დაავალა პარტიულ ორგანოებს ეს კითხვები გაერკვია პრესაში? „ახალი დადგენილებაც“ და კავკასიის ავტონომიაც არ ყოფილა საკმაოთ გამორკვეული და საბოლოოთ გადაწყვეტილი. ის, რაც „ჩვენ კვალში“ იწერება, უნდა გითხრათ, არც ისეა გამეორებული, რომ არ შეიძლებოდეს წაკითხვა და ახალი აზრების გაცნობა, ისეთი არსენალები—საწყობები, საიდანაც გამოქონდეს ვისმეს ახალ-ახალი მასალები, დღეს დღეობით არც სხვას აღმოუჩენია და თუ იმ გზას დავადგებით, როგორც თქვენ გვირჩევთ, აღარც დანარჩენ მარქსისტების ნაწერები უნდა ვიკითხოთ, რადგანაც ახალს არავინ ამბობს არაფერს; ან თუ იმიტომ არ უნდა წავიკითხოთ „ჩვენი კვალი“, რომ მისი ხელმძღვანელი ოდესღაც „ივერიაში“ სწერავდა წერილებს, და „ივერიის“ რედაქციაც ემხრობოდა ავტონომიას, არც ესაა საკმარისი საბუთი. განა „ტოვარიშჩ“-ში რომ სწერავდა პლეხანოვი წერილებს, ამიტომ ახლა აღარ უნდა წავიკითხოთ „გოლოს სოც.-დემოკრატა“, რომელიც მისი (პლეხანოვის) რედაქტორობით—ხელმძღვანელობით გამოდის? განა ვლ. დარჩიაშვილს, როგორც უწინ, ისე ახლაც არ ემხრობოდენ და არ ემხრობიან ბევრი ჩვენი ამხანაგები? თუ დარჩიაშვილი ასეთი საეჭვო პირი იყო, რაღათ გამოდიოდა ჩვენი გაზეთები მ სი ხელმძღვანელობით?..

„ივერია“, რომელიც როგორც მიმართულებით, აგრეთვე რედაქციის შედგენილობით ქართველი ბურჟუაზიის ღვიძლი შვილი იყო, ატარებდა ნაციონალურ პირბადეს და ემსახურებოდა მის (ქართველი ბურჟუაზიის) ინტერესებს? და განა შეიძლება ამ ორგანოს შედარება „ჩვ. კვალთან“, რომელიც, მგონი ამხანაგიც დამეთანხმება—როგორც რედაქციის შედგენილობით, აგრეთვე მიმართულებით, ისევე განსხვავდება პირველისაგან („ივერიისაგან“), როგორც „შურდული“ განსხვავდება „ამირანისაგან“?

ამხ. მეპრესე, ისიც კარგათ აგვიხსენით თუ რატომ არ უნდა ვიკითხოთ „ჩვენი კვალი“, როცა აქ შეგვიძლიან გავიცნოთ სხვა და სხვა აზრები ოტტო ბაუერისა, რომელიც ცნობილია ორტოდოქს-მარქსისტათ?

დასასრულ, „შურდული“-ს პრესის წაკითხვის უმალვე ზოგი ერთა მუშებმა დაცინვით და ნიშნის მოგებით მომახალეს: „მოგხვდა თუ არა, მაშ რა გეგონა, რა შენი საქმეა ნაციონალურ კითხვებზე წერილების წერა, ვერ წახვალ შორს, გამოირკვა, რომ ავტონომისტებს დაუახლოვდი და სხ.“.

სამწუხაროთ ეს არა თუ ახლა, უწინაც ასე იცოდენ ჩვენმა ზოგიერთა ამხანაგებმა; ერთხელ სხვათა შორის მასხარათაც მიგდებდენ „კაუცკის ნაწერებს რასა ჰქექამო“.

ამხ. „შურდული“-ს მეპრესე ვიცი არ დასტოვებს არც ამ ჩემ წერილს უკრიტიკოთ, და მე აქედანვე ვთხოვ ყოველივე კითხვაზე, რასაც წამოაყენებს ჩემს წინაალმდეგ, გარკვევით და მკაფიოთ გამოსთქვას თვისი შეხედულება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში საქმეს უფრო დამაახლოვებს, როგორც მე, აგრეთვე დანარჩენ ჩემსაებრ

ამ საყურადღებო კითხვებში დაინტერესებულ ამხანაგებსაც. რაც შეეხება იმას რომ მე **არა ნაკლებ პატივსა ვცცემ ამხანაგ მეპრესეს და მის ცოდნასაც ვაფასებ**, ეს არა მარტო სხვა ამხანაგებმა, თვითონაც კარგათ იცის და იმედია მომავალში ისეთი დაცინვის კილოთი არ მაიძულებს გამბედავობა დავკარგო.

ოსი.

უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 15).

ახლა დავბრუნდეთ ისევ უკან და განვაგრძოთ თუ რა და რა გაუმჯობესებანი მოიპოვა სტუდენტობამ ამ მოკლე ხნის თავისუფლების დროს, ესე იგი 1906 და 1907 წლებში, სანამ 1907 წლის 11 ივნისისა და 14 ნოემბრის კანონები გამოიცემოდა? ამ დროს განმავლობაში სტუდენტობამ დააარსა ცენტრალური ორგანო და მით იღებდა მხურვალე მონაწილეობას უნივერსიტეტის შინაურ საქმეების სასურველათ მართვა-მოწყობაში. უნივერსიტეტში ადგილი დაუთმო ქალებს და სემინარიელებს, მოისპო ებრაელების პროცენტებით მიღება. გაუქმდა პედელები (უნივ—ის მზეერავნი), დაარსდა სტუდენტების საექსპერტო კომისიები, რომლის ძალით უნივ—ის გადასახადისაგან განთავისუფლება და სტიპენდიების და პოსობიების განაწილება ეხლა სტუდენტების ხელში გადავიდა. შემოიღეს ფარტემინები, საგნებრივი სისტემა (предметная система) და სხვა მრავალგვარი გაუმჯობესება. როგორც ზემოთაც დავინახეთ, სტუდენტებს ნება მიეცათ სხვადასხვა სამეცნიერო და საპოლიტიკო ორგანიზაციების თავისუფალი მოწყობისთვის. პროფესორების სიმპატიაც სტუდენტებისკენ გადმოიხარა და ზოგიერთ უნივ-ში, მაგ. დორპატში, არსდებოდა პროფესორების, უმცროს მასწავლებლების და სტუდენტების შეერთებული კომისია, რომლის ძალით ეხლა უნივ-ის საქმეების შესახებ გვეკითხებოდენ უმცროს მასწავლებლებს და სტუდენტებსაც.

ამგვარათ უმაღლესი სასწავლებელი ასე თუ ისე თავის დიდ დანიშნულების ასრულებას აპირებდა და კულტურულ გზაზე შემდგარი წინ მიისწრაფოდა.

მაგრამ საუბედუროთ ეს მას დიდხანს არ დაცალდა. ბიუროკრატიას, მემარჯვენეთა ბანაკს ეს მოსვენებას არ აძლევდა, მათ კარგათ ესმოდათ რომ უნივ-ის ასეთი თავისუფლება ანვითარებს და წინ მიყავს სტუდენტობა. მათ კარგათ იციან, რომ თუ ასე გაგრძელდა დიდხანს, ეს მათ ძირს გამოუთხრის, ნიადაგს გამოაცლის. და აი, რეაქციის პირველი მსხვერპლი, როგორც ეს ყოველთვის ასე ხდება, უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა, ბიუროკრატიამ იწყო უმაღლეს სასწავლებლის თავისუფლება-გაუმჯობესობათა თანდათან უკან წაღება. უმაღლეს სასწავლებლის ავტონომიამ კარგათ ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, რომ კვლავ გაინავარდეს, გაილაშქრეს ავტონომიაზე, ჩაერიენ თავისუფალ სასწავლებლის ცხოვრებაში, ჯერ გარეგან ნელნელა, შემდეგ კი საგრძნობლათ, რამაც გამოიწვია მრავალი კონფლიკტები, არეულობანი, დაარღვია ნორმალური მეცადინობა და შეაჩერა მისი მსვლელობა. ძირიან-ფესვიანათ მოინდომეს თავისუფლების განდევნა უმაღლეს სასწავლებლიდან. ეს სურვილი კიდეც მონათლეს და დააკანონეს 1907 წლის 11 ივნისის და 14 ნოემბრის კანონით. ამ კანონების ძალით შებოჭეს და უკან წაიღეს უნივ-ის ავტონომია: უნივ-ში კვლავ გაბატონდა პოლიცია, აეკრძალა სტუდენტებს ნება დაურთველათ შეკრება, თუნდ კრებას აკადემიური ხასიათი ქონდეს. ამასთანავე აეკრძალა თავისუფალ მსმენელებს, მათ შორის ქალებსაც ყოველგვარ კრებაზე დასწრება, ამავე კანონის ძალით კრებებზე ესწრება პოლიციელი, რომელსაც თუ არ მოესურვა კრების გაგრძელება, შეუძლია, რა წამს უნდა, დახუროს ის, მოისპო ცენტრალური ორგანო და სხვა.

როგორი პასუხი გავცეთ ამ ახალ კანონს, როგორ შევხდეთ ამას?

აი, საკითხი, რომელიც დაიბადა 11 ივნისის კანონის გამოცემის შემდეგ სტუდენტობაში. აქ აღსანიშნავია რომ ეს კანონი გამოიცა სწორეთ მაშინ, როცა ირგვლივ რეაქცია ნავარდობდა და არც ერთ ცხოვრების დარგს არ ტოვებდა რომ თავისი დაღი არ დაედვა ზედ, როცა თავისუფლებისოვის მებრძოლთა ძალები დაიქსასა მათი ორგანიზაციები დაიშალა. აი, ამ დროს უმაღლეს სასწავლებელმაც შესაფერი ატაკა (იერიში) მიიღო რეაქციისაგან. სტუდენტების ერთი ნაწილი (ს-დ-ბი) ნათლად ხედავდა და კიდეც აფასებდა ამ პოლიტიკურ მომენტს. ისინი ამბობდენ; სტუდენტობას, როგორც ამგვარს ერთეულს, არავითარი პოლიტიკური ძალა არ აქვს და, რასაკვირველია, მათგან არ არის დამოკიდებული რევოლიუცია და რეაქცია, არც საზოგადოთ და არც უნივ-ში. ამიტომ სტუდენტობის ეს ნაწილი (ს-დ-ბი) საჭიროთ ცნობდა მომენტით სარგებლობას, ლეგალურ პირობების გამოყენებას, ლეგალურათ მოქმედობას. ამის და მიხედვით ყველა ს—დ. სტუდენტობამ 11 ივნისის კანონის პასუხათ შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანა, ხოლო „რადიკალებს“, ვითომდა უკიდურეს „რევოლიუციონერებს“ (ეს ერებს და კამპანიას), რომლებიც ერთი ხელის დაკვრით ქვეყნის გადატრიალებას ფიქრობდენ, საჭიროთ თვლიდენ ისევ სარდაფებში ჩაძრომას, არა-ლეგალურათ მოქმედობას და ამით ფიქრობდენ ავტონომიის თავის ადგილზე დაბრუნებას. მაგრამ საუბედუროთ დღემდის მათში ასეთი ზღაპრულ ძალას ვერ ვხედავთ. გაბატონდა რეაქცია თუ არა, უნივ-ის ავტონომია დღითი-დღე ძვალტყავდებოდა. ამის გამო 1907-190 სამოსწავლო წლის დაწყებისთან ვე აიბუგნა უმაღლ. სასწავლებლის მდგომარეობა. სტუდენტთა მღელვარება ჩქარი სისწრაფით წინ გაექანა, რაც დავიწყებული იყო, განმეორების გზას დაადგა, გახშირდა არეულობანი უმაღლეს სასწავლებელში, სულ ცოტა რამ იყო საჭირო, რომ ადმინის-

ტრაცია ჩარევოდა უნივ-ის აკადემიურ საქმეებში. განმეორდა ძველი ისტორია: სტუდენტების გამორიცხვა უნივ-ის დახურვა, პოლიციის კრებებზე შეპრა, ძალთა კრებების შეწყვეტა. არც ერთი უნივერსიტეტი არ გადურჩა პოლიციისაგან შინაური საქმეებში ჩარევას, ავტონომიის შელახვას. კიევში, ოდესაში, ხარკოვში, მოსკოვში, ტომსკში, პეტერბურგში, დორპატში, თითქმის ყველგან უმაღლესი სასწავლებლები სრულმა უკმაყოფილებამ და არეულობამ მოიცვა. 1907—1908 სამოსწავლო წლის დაწყებისთანავე ჩაერივენ უმაღლეს სასწავლებლის შინაურ საქმეებში, დაიწყეს უმიზეზოთ ჩხრეკა, ყუმბარებისა და იარაღების ძებნა. გაიხსენეთ ამგვარი ჩხრეკა უმაღლეს სასწავლებლებში; პეტერბურგში, ხარკოვში, მოსკოვში, კაზანში და სხვ. ასეთი ჩხრეკის ნაყოფი ის იყო, რომ ხშირათ პროვოკაციურ ნამოქმედარითაც სარგებლობდენ (პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში). ბიუროკრატიას მძიმე ლოდივით აწვა და მოსვენებას არ აძლევდა თავისუფალი უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ლექციებს სოციალურ მეცნიერებაზედაც კითხულობდენ, ვერ იგუა და წარსულ სამოსწავლო წლის (1907—1908) პირველ სემესტრში კიდეც მიხურა პეტერბურგში ამგვარი თავისუფალი უმაღლესი სასწავლებელი, პროფესორ ლესგაფტის 1500 კაცი მოსწყვიტა საშუალებას—ცოდნა შეეძინა. ავტონომიის შელახვის გამო სტუდენტობის არეულობამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია კიევის უნივ—ში. პოლიციის თვითნებობამ მოთმინებიდან გამოიყვანა იქაური სტუდენტობა და 1907 წელს ნოემბრის სამს, ხუთს და 17 რიცხვებში იქ მოხდა სამი ნებადაურთველი კრება. უკანასკნელ კრებაზე სტუდენტობა მოითხოვდა იმ 153 დათხოვნილ სტუდენტის უკანვე მიღებას, რომლებიც უსამართლოთ იყვენ გამორიცხული. ამ კრებაზე შეიჭრა პოლიცია, სტუდენტობამ არ წარუდგინა მათ „ბილეთი“, რის შემდეგ ყველანი ციხეში გაამგზავრეს. ამ არეულობის შედეგათ 800-მდე სტუდენტი დაითხოვეს და მათ სხვა უნივ—ბის კარიც კი დაუკეტეს. ამავე წლის ნოემბერშივე დორპატში სულ უმიზეზოთ, როდესაც სტუდენტების კრებაზე აკადემიური კითხვები ირჩეობა, უნივერსიტეტს ალყა შემოარტყეს, შიგ შეიჭრენ და კრება აღკრძალეს იმის მიუხედავათ, რომ კრებას თავ-დანვე რექტორი და პროორექტორი დაესწრო და არავითარ საწინააღმდეგოს შიგ არ ხედავდენ.

სვ. კანდ—ი.

დუშეთის მაზრა

—:—

დუშეთის მაზრაში არის სხვა ხეობათა შორის ეგრეთ წოდებული: გრემიხევის, ქსნის და ლეხურის ხეობები. ეს ხეობები მდებარეობენ მაღლობ მთიან და ტყიან ადგილებში. მიწის სიცოტავის გამო პატარა-პატარა სოფლებია აქა-იქ ტყის პირებზე, ან მთებზე. თვითეულ სოფელში დასახლებულია 5-დან 20 კომლამდის, და გარდა თითო-ოროლა სოფლისა, ყველგან ოსებია დასახლებულნი. ყველგან გამეფებულია სიღარიბე და სიმშილი. ზემოხსენებულ სამ ხეობაში დასახლებულ გლეხებს, ცხოვრების აუტანელ პირობების გარდა, კიდევ უხდებათ ეგრეთ წოდებულ წითელი რაზმელების ერთი ნაწილის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ნაწილი წითელი რაზმისა, ამ თავითვე ყაჩაღობას შეჩვეული, წითელ რაზმში შესვლით მოიპოვა ნდობა გლეხებში და 1905 წლის ბოლო ხნებში, როდესაც რეაქციამ დაანგრია სოფლის ორგანიზაციები, რეაქციის გამარჯვებით ისარგებლეს, მოიმხრეს თავიანთ მზგავსი ყოფილი ქურდ-ყაჩაღები, ყოველათ გარეკნილ-გათახსირებული კაცები, აისხეს იარაღი და მიყვეს ხელი წართმევას, გამათრახებას, მთებში მეცხვარეებისაგან საბალახოების მოკრეფვას, კაცის თავზე ოროლ შაურის მოგროვებას და ატყუილებდენ გლეხებს რ. ს. დ. მ. პ. თბილ. კომიტეტი გვეუბნებაო. გლეხებსაც სჯეროდათ ეს და ყაჩაღთა ბრბოების ყოველგვარი თხოვნა სისრულეში მოყავდათ უსიტყვოთ. გლეხები მაღე მიხვდენ ყველაფერს. დარწმუნდენ, რომ სოც.-დემ. მუშ. პარტიას არავითარი კავშირი არა აქვს, პირიქით, იბრძვის ყოველგვარი ძარცვა-გლეჯის და ყაჩაღთა ბრბოების წინააღმდეგ და გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა ყაჩაღთა თავგასულობას (იხილე ამის შესახებ 1907 წ. გაზ. „ზარი“-ს 8 ნომერში). გაყაჩაღებულმა რაზმელებმა გაიგეს თუ არა, რომ გლეხები მიხვდენ ყველაფერს სინამდვილეს, თავი შეაფარეს ზემოხსენებულ სამ ხეობაში და სამ ნაწილათ გაიყვენ, უფრო გაძლიერ-გაამრავლეს თავიანთი ბრბოები და ახლა კი უფრო მოურიდებლათ მიყვეს ხელი ძარცვა-გლეჯას და ვაი იმის ბრალი ვინც რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ან ვისმეს შეატყობინებს რამეს მათი მოქმედების შესახებ. გლეხები ასეთ მდგომარეობაში არიან ცხრაას ხუთი წლის ბოლო რიცხვებიდან, დღევანდლამლდე და ბოლო არც ახლა უჩანს ყაჩაღთა ბრბოების თავგასულობას. გლეხებს იმედი აღეძრათ, როდესაც გაიგეს მ ავრობა გზაენის მამასახლისებს სტრაჟნიკებით ყველა სამასახლისოებშ, იქნება ამათ ცოტათი მაინც დააშინონ და თანდათან მოეღოთ ბოლოო. არ გამართლდა გლეხების იმედები და მთავრობის მიერ დაყენებული მამასახლისები თავიანთ სტრაჟნიკებით ყაჩაღების წინააღმდეგ კი არ ამხედრდენ, პირიქით ხშირათ დახმარებასაც უწევენ და ხელს აფარებენ. ამის საბუთებს ბევრს შეხვდებით ლეხურის და ჭადი-ჯვრის მამასახლისების და მათი სტრაჟნიკების მოქმედებაში, რომლებმაც არამც თუ თვითონ ყაჩაღებს, მათ შემნახველებსაც იცნობენ პირადათ და ხშირათ ქვეფსა და ლხინსაც კი მართავენ სადმე მაღალ ტყეში. ყაჩაღთა ბრბოებს ერთმანეთთან აქვთ მისვლა-მოსვლა—კავშირი, შეიმუშავეს ერთგვარი ტაქტიკა; თვითეულ სოფელში აყენ დ ყენებული კაცები და რასაც კი ვინმე ილაპარაკებს მათზე, ატყობინებს და ხელათ გაჩნდებიან ხოლმე თოფებით, მათრახებით და

დიდიხნის ცემის შემდეგ ახდევინებენ ფულს, ან და კარგ სადილს გაამართვინებენ—ღვინით და შემწვარი ქათმებით.

28 ივლისს სოფ. იგოვეთში მცხოვრები ერთი გლეხი შუაღამისას გაიტაცეს ტყეში, რამდენჯერმე ესროლეს რევოლვერები, გლეხი როგორც იყო გამოექცათ, გაუყიდნია საქონელი 50 მანეთისა და მიუგზავნა ყაჩაღებს, მეტის მოცემა არ შემიძლიან და ნუ მომკლავთო, მაგრამ არ მიიღეს, თუ ათი თუმანს არ მოგვცემ სხვებიც ასე მოიქცევიანო. საბრალო გლეხმა მიატოვა თავისი სახლ-კარი და ქალაქს ჩამოვიდა.

ამავე დღეებში სოფ. დუდაანთ-კარში მცხოვრებ ერთ მოხუცებულ გლეხს, რადგანაც არაფერი არ აღ მოაჩნდა სახლში, გააყიდვინეს მოხნული ყანა სამ მანეთში და წაართვეს.

სოფ. ილურში მცხოვრები ერთი გლეხი 50 მანეთით დააჯარიმეს. სოფ. მონასტერში ორ მედუქნეს სისტემატიურად ართმევენ ღვინოს და ფულსაც რასაკვირველია. სოფ. ორკოსნელების მცხოვრებთ წაართვეს ოცდახუთმეტი თუმანი ივლისის ბოლო დღეებში სოფ. ტბეთში მცხოვრებ ორ ძმას მოუტანია ყანაში მომუშავეთათვის ღვინო (ოსებში ასეთი ჩვეულება აქვთ, მოიწვევენ მუშებს, გაუმართავენ სადილ-ეახშამს, ესაა ხელფასი), გაიგოს თუ არა ყაჩაღთა ბრბომ ეს, გაგზავნა რამდენიმე კაცი და აატაინეს თავიანთთან ტყეში ეს ღვინო. 21 აგვისტოს ამავე ძმებს შუაღამისას შეუცვივდენ სახლში და მოინდომეს მათი დახოცვა, ყაჩაღებმა რაკი ეერ ნახეს სახლში, გაჯავრებულებმა სახლს აუტეხეს სროლა. ეს ორი ძმა ქალაქში გამოქცეულან. არცალეს ჯერ ეჭირან ყაჩაღთა ბრბოები, დაიბარებენ ხოლმე სოფლიდან თითოს ან ორ კაცს, ჩვენთან უნდა იაროთ თქვენო, საბრალო გლეხებს ორ კითხვას უყენებენ, ან ათი თუმანი (ხშირათ მეტსაც მოითხოვენ ხოლმე) მოგვეცი და შენთვის წადი სახლში, ან არა და ჩვენსავით შენც იცხოვრეო. საბრალო გლეხები უმისოდაც გაჭირვებულ-დამშეულები, ცხოვრებისაგან გამწარებულები, გაიძახიან: ოღონდაც გავინთავისუფლოთ თავი ყაჩაღთა ბრბოებისაგან და თუ გინდ გაგვიათკეცდეს გაჭირვებაო. ვინც კი შეხვდებათ ქალაქიდან მომავალი, სუფთა ტანისამოსში, ყველა სოციალდემოკრატი ჭონიათ და ეკითხებიან, რა ვქნათ, როგორ მოვიშოროთ ეს ყაჩაღები, რომ მივმართოთ მთავრობას ამათ ალაგმვაში დაგვეხმაროს, ხომ არაფერი ცუდი არ იქნებაო?

ზემოხსენებულ კუთხეებში მცხოვრებ გლეხებს მიწების ყიდვა ძლიერ აინტერესებთ და აქაც კითხულობენ, რომ ვიყიდოთ მიწები ხომ სხვა კუთხეებ ს გლეხებს ამით არაფერ ზარალს არ მოვუტანთ, ყიდვა რომ იყოს, საგლეხო ბანკში სჯობია, თუ სათავადაზნაურო ბანკშიო? მიუხედავათ ყველა აუტანელი ცხოვრების პირობებისა, გლეხები დიდათ მონატრულნი არიან მათ მხარეში ხდებოდეს კვლავ სახალხო კრებები (კრებები ყოველთვის მოსახერხებელია, მთავრობის მხრით თითქმის არავითარი რეპრესიები არაა იმის წინააღმდეგ,—ყაჩაღები კი დიდათ უშლიან კრებების მოხდენას და გაზეთების კითხვას) და თანაც დასძენენ,—„სანამ სოფლებში მოლაპარაკეები დაიარებოდენ, ხდებოდა სოფლის კრებები, არც ყაჩაღები გვაწუხებდნენო“. ასეთი პირობებია, მოკლეთ, ზემოხსენებულ სამ ხეობაში.

ზემოხვევით გამვლელი ოსი.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

დ. ხონი. ხონი არაჩვეულებრივ მიდის პროგრესის გზაზე... სულ მოკლე ხანში აქ ორი საშუალო სასწავლებელი დაარსდა: ვაჟების პროგიმნაზია და ქალების კერძო გიმნაზია. ეხლა აპირებენ რკინის გზის ლიანდაგის გაყვანას სამტრედიამდე. ამის შესახებ ენერგიულათ მუშაობენ საქმის ინიციატორები და, ეფიქრობ, მალე პროექტის განხორციელებას შეუდგებიან. რკინის გზის ლიანდაგი დიდ სარგებლობას მოუტანს ხონს, რადგან ირგვლივ მას ბუნებით მდიდარი ადგილები ახლავ'... მოსალოდნელი იყო, სახალხო უნივერსიტეტის და დრამატიულ საზოგადოების დაარსებაც; მაგრამ მოთავეებმა მალე გული აიცრუეს და ეს კეთილი განზრახვა განუხორციელებელი დასტოვეს. შარშანდელმა თეატრალურმა კომისიამ წესდება სადღაც მიაგდო და თეატრის შენახვებ, პირველ ორ კრების შემდეგ, ხმასაც არ იღებს...

წელს კი ახალგაზდების ერთმა ჯგუფმა თვითონ იკისრა წარმოდგენების მართვა საზაფხულო თეატრის შენობაში. ამ მიზნით მოიწვია მსახიობი ნ. გვარაძე და მისი ხელმძღვანელობით ითამაშეს შემდეგი პიესები: „ბატონი და ყმა“, „დამარცხებულნი“ (ორჯერ.) „სიკოლა დენშჩიკი, ირინეს ბედნიერება“, „გაზაფხულის ნიავღვარი“, „ექიმი შტოკმანი“ და „სამშობლო“. წარმოდგენებს საერთოდ არა უშავდა რა. ყველაზე სუსტათ ითამაშეს „ექიმი შტოკმანი“. სცენის მოყვარეთა შორის ყურადღება მიიქცია ქ. ა. ქავკანიძემ და ი. მამფორიამ, უკანასკნელმა კომიკურ როლებში. წარმოდგენებს, სამწუხაროთ, საზოგადოება ნაკლებათ ესწრებოდა. განსაკუთრებით არ შემოუხედნიათ თეატრში ვაჭრებს და მასწავლებლებს... ამავე ჯგუფმა მოიწვია კრება, სადაც იბაასეს, ხეირიანი თეატრის შენობის აგების შესახებ. კიდევ აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეაგროვოს თანხა მომავალ თეატრისათვის. მართალია, დღევანდელ საერთო კრიზისის დროს, მეტათ ძნელია ამ საქმის განხორციელება, მაგრამ თუ კომისიის წევრები ენერგიულათ მოკიდებენ საქმეს ხელს, მოსალოდნელია, ახლო მომავალში თეატრის აშენებას შეუდგენ.

რუ—ილ.

ქუთაისის ქრონიკა.

ორშაბათს, 8 სეპტემბერს; რკინის გზის სადგურზე როდესაც მლოცველი დღესასწაულის გამო გელათში

აუარებელი ხალხი მიაწყდა, გაუფრთხილებლობის გამო მატარებელ'ს ქვეშ მოყვა ქალაქის სასწავლებლის მოსწავლე ქლიკაძე და გასარისა; საბრალო ბავშმა წამსვე სული განუტევა.

— ყველა სასწავლებლებში უკვე ნორმალური სწავლა დაიწყო.

— აქაურ ქართულ გიმნაზიაში წელს ყმაწვილთა პირველი გამოსვლაა (выпускъ); მთავრობის წარმომადგენელნი ადგილობრივ მასწავლებელთა თანდასწრებით მოსწავლეებს ცდიან; წელს აქ ამთავრებს სწავლას 30-მდი ყმაწვილი; თითქმის ყველა თავიანთ სახინთ ასრულებენ გიმნაზიას და სიმწიფის მოწმობას მიიღებენ; მთავრობის მიზეზით ეგზამენები აქ 15 ენკენისთვეს სრულდება, რის გამოც ყმაწვილებს ეს საკადემიო სწავლის წელი ეკარგებათ, რადგან დააგვიანეს რუსეთს წასვლა.

— ქართული გიმნაზიის უზარ-მაზარი შენობა დაიწყეს, რომელსაც თუ ხელი შეეწყო ორი წლის შემდეგ დასრულებენ

— 9 ენკენისთვეს აუტანელ ოჯახურ პირობებით იძულებულმა ქალმა ჯინჭველაშვილმა რიონში თავი დაიხრჩო. კვდარს ეძებენ

– სწავლის ფული აქაც ისე, როგორც სხვაგან გააორკეცეს, რისთვისაც ღარიბი ბავშები გიმნაზიას მოწყდენ, ესეც ჩვენი მამების მზრუნველობა და სწავლის საქმის ხელის შეწყობა ეროვნულ სასწავლებელში!

— ქალაქის თეატრი შედარებით შეაკეთეს, გაასუფთავეს და შეალამაზეს შიგნითა და გარეთ, სეზონი უკვე დაიწყეს. ღასის შედგენილობა ჯერ-ჯერობით კარგია.

— სანიტარული კომისიები მოქმედებას განაგრძობენ. მათ ყურადღებას მივაქცევ ებრაელების უბანში უსუფთაობას.

— ისევ საგრძნობელი სიცხეებია.

— ქალაქის აფთიაქში მოსამსახურე ფარმაცევტებს განუცხადეს, რომ ამიერიდან აფთიაქში მუშაობა ცხრის ნახევარ საათზე კი არ უნდა დაიწყოს, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო მომუშავეთაგან, არამედ რვის ნახევარ საათიდან. გამოურკვეველი მდგომარეობაა!

— ადგილობრივ ციხეებში აეათმყოფობა შესუსტდა.

— თფილისიდან გენერალ-გუბერნატორი დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

მაშ მართალია!?

(„შურდულის“ შენიშვნის გამო)“

„ჩვენი კვალის“ მე-15 №-ში ამხ. ოსს წერილი ჰქონდა მოთავსებული, რომელშიც იმ აზრს ატარებდა, რომ „ჩვენი კვალის“ გამოსვლა, როგორც ახალი მიმართულების წარმომადგენელის, სამწუხარო კი არა, სასიხარულოც არისო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეთი განცხადება თითქმის ზედ მეტიც იყო, რადგან, არ გვეგონა, თუ მოიპოვებოდა ისეთი ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ამხანაგი, რომელსაც არა თუ „ჩვ. კვ.“, არამედ სხვა პროგრესიულ მიმართულების ორგანოთა გამოსვლაც არა სასიამოვნოთ დარჩენოდა. დიახ, გვეგონა, რომ აზრთა სხვადასხვაობის საქიროების წინააღმდეგ, მხოლოთ ნაკლებ შეგნებული პირები თუ ალაპარაკდებოდენ და არასოდეს მოწონავე ელემენტები.

მაგრამ მწარეთ მოვტყუვდით! დიახ, მწარეთ, რადგან თითქმის ასეთი აზრი გვესმა ჩვენ ისეთი ორგანოდან, რომლისგანაც ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით ამას. ეს ორგანო გახლავთ „შურდული“!

რაშია საქმე?

ამხ. ოსი ამბობს: „ჩვენი კვალი“ ახალ მასალას იძლევა ნაციონალურ კითხვაზე და ასეთ ორგანოს დახმარება უნდა გაუწიოთო“—(ჩვენ ამ შემთხვევაში კითხვის არსებით მხარეს არ ვეხებით. აქ სხვა რამ გვაინტერესებს.)

„შურდული“ განმარტავს, რომ „ჩვენი კვალის“ აზრები განმეორებაა „ივერიის“ აზრების, რომ იქ ოტტო ბაუერის თეორიაა მოყვანილი, რომლის „პოპულიარიზაცია ვრცლად და დალაგებით გააკეთა შვარცმა“, და ამიტომ, ურჩევს ამხ. ოსს შევიდეს წერ. კითხ. საზოგადოებაში, მოითხოვოს „ივერია“ და მასალას გაეცნოს“, ბაუერის აზრების გადაკითხვა კი, „ჩვენს გაზეთებშიც“ ადვილათ შეუძლია ოსსო და ამბობს:

„საზოგადოთ არც ერთ ორგანოში იმდენი არ იწერებოდა ნაც. კითხვაზე, რამდენიც იწერებოდა „ივერიაში“ 1905 წ. და ვისაც მართლა მასალები უნდა, ამ გაზეთს მიმართოს, საიდანაც ასე უხვათ ალაგებენ თავის „ახალ აზრებს“ „ალიონისტები“. ჩვენი ფიქრით პირველი წყაროს გაცნობა უფრო სასარგებლო უნდა იყოს“. („შურდული“ № 4).

ჩვენი ფიქრით კი ეს მოსაზრება არსებითათ უკუღმართია და არასოდეს არ შეეფერება მით უმეტეს ხელმძღვანელ ორგანოს და ისიც ისეთს, როგორიცაა „შურდული“.

მართლაც, რას ნიშნავს „შურდულის“ სიტყვები: „ძველი აზრებია“, „ივერია“ მოითხოვოს“, „შვარცმა ჩვენს გაზეთში გაკეთა პოპულიარიზაცია“ და სხ... ეს იმის თქმაა, რომ არ არის საჭირო „ჩვენ კვალს“ ხელი შეეწყოთ, და აქედან, ცხადია მისი არსებობაც არ არის საინტერესოო! ეს აზრი გამოდის პირდაპირ „შურდულის“ შენიშვნიდან. ეხლა რანაირი დასკვნების გამოყვანა შეუძლია აქედან შეუგნებულ მასსას? მან, „შურდულის“ სიტყვებით „გამხნევებულმა“, ერთ დღეს იქნებ ბოიკოტიც კი გამოუცხადოს მას და ხელს რომ მუდამ შეუშლის, დაცინვას რომ არ მოაკლებს, ეს ცხადია. აი, ასეთი შედეგია მოსალოდნელი „შურდულის“ განმარტებიდან.

და განა ეს სასიამოვნოა? განა თუნდაც „ძველი აზრების“ მატარებელი იყოს „ჩვ. კვ.“, ან თუნდ სხვა რომელიმე პროგრესიული ორგანო, შეიძლება მის

წინააღმდეგ ასეთი კომპანიის გაწევა? სად, როდის იყო, რომ მკითხველს ეუბნებოდა გაზეთი, ჩემ მოწინააღმდეგე გაზეთში არაფერი სწერია სახეირო, ის,—რასაც ეხლა იქ სწერენ, ოდესღაც ეწერა სხვაგან, „ჩვენ გ ზეთშიც“ სწერია, მაშ, ნუ იწუხებთ თავს მის კითხვით და დახმარებით, „მასალები“ ევერიაში“ და „ჩვენს გაზეთებში“ ეძებეთო. ყველა ეს, შეუწყნარებელია,—უბრალო ზრდილობის მხრითაც რომ შევეხოთ!

მაგრამ ამ შემთხვევაში არც ასე შეიძლება კითხვის დასმა. ფაქტიურათაც არ არის სწორი „შურდულის“ განმარტება. მართლაც, თუ ნაციონალურ კითხვაზე ოდესღაც და სადღაც იწერებოდა, განა არ შეიძლება, ან არ არის საჭირო ერთხელ დასმულ კითხვას (და გადაუკრელს!) ხელმეორეთ შეეხო და უფრო გაარკვიო ის? „შურდული“ გაიძახის: რა თავში ვიხლი „ძველი აზრების“ მატარებელ გაზეთსო. „ძველი აზრების“! გაუგებარი ფრაზაა, ღმერთმანი... თუ საქმე „სიძველეზეა“, მაშინ თვით „შურდული“ რის მაქნისია? ის ხომ იმ მოძღვრებას ავრცელებს, რომელიც, დამეთანხმებით, უფრო „ძველია“, მასზე უფრო მეტი ხანია რაც სწერენ და ლაპარაკობენ... „შურდულისთვის“ რომ ეთქვა ვისმეს, შენ რაღა საჭირო ხარ, „კვალმა“, „მოგზაურმა“ და სხვებმა ბევრი სწერეს მაგ მოძღვრებაზეო და მეეთითებინა მკითხველისთვის აღნიშნული ორგანოების არხივზე, „შურდული“ დარწმუნებული ვართ სიცილს დაუწყებდა ასეთ აზრების მღაღადებელს და მართალიც იქნებოდა, მაგრამ ჩვენ, თვით „შურდულიდან“ ასეთი აზრების მოსმენის შემდეგ არ ვიცით ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

რომ ფაქტიურათაც სწორი არ არის „შურდულის“ განმარტება, ე. ი. რომ გამორკვეულათ და გადაღეჭილათ არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული საკითხი ჩვენში, ამის საბუთს იძლევა თვით „ხომლი“-ს 26 №-ში დაბეჭდილი მეთაური, სადაც აშკარათ ამბობს რედაქცია, რომ „ჩვენი კვალის“ აზრები მას გადაღეჭილათ და დაძველებულათ არ მიაჩნია. ვერ დავწამებთ „ხომლის“ ხელმძღვანელს, რომ მას „ევერია“ არ წაეკითხოს! ცხადია წაეკითხა, მაგრამ მას არ მიუჩნევია „ევერიაში“ ნაწერი საკმათო. აქ „ხომლს“ და „შურდულს“ შორის აზრთა სხვა და სხვაობაა. ვინ არის მართალი? მართალია პირველი, „ხომლი“!.

ასეთსავე საბუთს იძლევა ამხ. გრ ურ., რომელსაც სასიამოვნოთ მიაჩნია რა „ჩვენი კვალის“ გამოსვლა, ურჩევს მას მხოლოთ უთანხმოების მუხლი გაარკვიოს, საკამათო კითხვა მკაფიოთ დასვას. რომ გრ. ურ.—ს „ძველ აზრებათ“ და არა საჭიროთ მიეღო „ჩვენი კვალის“ პოზიცია, ცხადია თავს არ შეიწუხებდა და სიტყვას ისიც მოკლეთ მოსჭრიდა, მაგრამ, არა!..

ამნაირათ, როგორც მრავალ ამხანაგებს, ისე „ხომლს“ და გრ. ურ.—საც მიაჩნდათ და, ვფიქრობ, დღესაც მიაჩნიათ, რომ ნაც. კითხვა არც ისე გარკვეულია და არც შეიძლება აქ დაკმაყოფილება „ევერიის“ მასალებით და „ჩვენს გაზეთებში“ დაბეჭდილ „პოპულიარიზაციით“. აქ საჭიროა ღრმა და სერიოზული მსჯელობა. ამას არავინ არ უარყოფს დღეს, გარდა „შურდულისა“...

ჩვენ არ ვეკუთვნით „ჩვენი კვალის“ ნაციონალურ კითხვაში მომხრეთა ჯგუფს, შეიძლება ამ მხრით „შურდულს“ უფრო ვეთანხმებოდეთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იმ გარემოებამ, რომელზედაც ზევით შევნიშნეთ ჩვენც გვაიძულა ხმა ამოგვეღო.

გადაჭრით ვამბობთ—„ჩვენი კვალის“ არსებობა აუცილებლათ საჭიროა. ეს მით უმეტეს, რომ ის არ არის ვიწრო სპეციალური ორგანო და მასში საკმაო ადგილი ეთმობა სხვა შინაარსის წერილებსაც, რომელთაც განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვთ.

მაშ ასე! კამათი იდეიურ ნიადაგზე საჭიროა და აუცილებელიცაა, კითხვის გარკვევის თავმდებიც სწორეთ ეს არის და ჩვენც ვუსურვებთ ორივე ორგანოს ამ მხრით წარმატებას.

განსაკუთრებით „შურდულს“ კი ვურჩევთ თავი ანებოს ასეთ „მანერებს“, რომელსაც ერთგვარი დემაგოგიის სუნი უდის და რაღაც პირად კინკლაობის შედეგს გვაგონებს...

პარ—სი.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამაშვილი.**

განცხადებანი.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

ხელის მოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული. ფოსტით ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

1908 წ. ენკენისთვის 1-დან ქუთაისში

ნ. ლ. მიქელაძის ასულმა

მთავრობის ნებართვით გახსნა მე-3 ხარისხის

ქალთა სკოლა

პროფესიონალურ განყოფილებით

ასწავლიან: 1) სრულს კურსს ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლისას.

2) სრულს კურსს ჭრა კერვისას, სხვა და სხვა დარგის ხელთ-საქნარსა და შლიაპის ხელობას.

სწავლის ქირა წელიწადში 36 მანეთი.

თხოვნები მიიღება სასწავლებელში. ტფილისის ქუჩა, სახლი ნესმაშინის (ადრე სანიკიძისა).